# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11(97) 2015 წ. 1-15 ივნისი ფასი 50 თეთრი

## „გოგლაობა“ პატარძეულში



**პატარძეულში**, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში სახალხო ზეიმი „გოგლაობა“ აღინიშნა, რომელიც კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ჩატარდა. პატარძეულმა უმასპინძლა: ლეონიძეების ოჯახსა და მათ საახლობლოს, სტუმრებს თბილისიდან, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებს.

„გოგლაობაში“ მონაწილეობდნენ: პოეტები და მწერლები, რომლებმაც თბილი სიტყვები არ დაიშურეს მწერლისათვის. ასევე პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახ. საჯარო სკოლისა და ფრანგულ-ქართული ლიცეუმის მოსწავლეები, საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ვანო მჭედლიშვილის სახელობის ქართული ხალხური გალობისა და სიმღერის სახელოსნოს გუნდი. ფოლკლორული ანსამბლები „გარეჯი“, „ჩინარი“. საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობებმა გოგლას პერსონაჟები გააცოცხლეს.

*ნინო გვაგვალია*









## ოლიმპიური ცეცხლი საგარეჯოში



5 ივნისს, 20:00 სთ-ზე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი სიმბოლო, ოლიმპიური ცეცხლი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან შემოვიდა. ალმოკიდებულ ჩირაღდანს თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების 2–გზის , მსოფლიოს 4–გზის ჩემპიონი და ევროპის 3–გზის ჩემპიონი **ლევან თედიაშვილი** დახვდა, რომელმაც ესტაფეტა ძიუდოში 2–გზის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონს **გიორგი რევაზიშვილს** გადასცა, რევაზიშვილი ევროპის ჩემპიონმა ჭიდაობა სამბოში **ზაურ მამარდაშვილმა** შეცვალა, რის შემდეგაც ჩირაღდანი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონ თავისუფალ ჭიდაობაში **დავით ხუციშვილს** გადაეცა, რომელიც ევროპის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის ძიუდოში **ვანო მამისაშვილმა** შეცვალა. მამისაშვილი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის ძიუდოში **ირაკლი კუპატაძემ** შეცვალა, რომელმაც ოლიმპიური ცეცხლი მსოფლიო ჩემპიონ ძიუდოისტ **კობა მჭედლიშვილს** გადასცა. ამ უკანასკნელმა კი ჩირაღდანი ოლიმპიური ფესტივალის პრიზიორ ძიუდოისტ **თამაზ**



**კირაკოზაშვილს** გადააბარა. მან კი ოლიმპიური ცეცხლი სპორტსმენ **თორნიკე ფარცხალაძეს** გადაულოცა, ფარცხალაძის შემდეგ ალმოკიდებული ჩირაღდნის ტარების პატივი ოლიმპიური ფესტივალის პრიზიორს და ევროპის ჩემპიონს **გივი ონაშვილს** ხვდა წილად, მას ჩირაღდანი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა **დავით ბაქრაძემ** ჩამოართვა, მან კი ესტაფეტა საზეიმო ვითარებაში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015–ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს **ალექსანდრე ახვლედიანს** გადასცა. მან ოლიმპიური ცეცხლი ქ. საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე მიიტანა, სადაც თავმოყრილი საზოგადოება ოვაციებით დახვდა.

ქ. საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე ოლიმპიური ცეცხლის დახვედრის საზეიმო ღონისძიება გაიმართა, სადაც მონაწილეობა ქართული ესტრადის ვარკვლავებმა მიიღეს.

საგარეჯოს შემდეგ ოლიმპიური ცეცხლი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში შევა.

შეგახსნებთ, რომ ოლიმპიური ცეცხლი საქართველოში 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს შემოვიდა და ორი თვის განმავლობაში 67 მუნიციპალიტეტს შემოივლის. ევროპის მე-15 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი საქართველოში, 26 ივლისიდან 2 აგვისტომდე გაიმართება და ფესტივალის განმავლობაში თბილისს 50 ქვეყნის 3800 მონაწილე ესტუმრება.ახალგაზრდული ოლიმპიადა სპორტის 9 სახეობაში გაიმართება: ძიუდო, ჩოგბურთი, ცურვა, ფრენბურთი, ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, ხელბურთი, კალათბურთი და მძლეოსნობა.

*ვენერა ჯავახიშვილი*



## 1 ივნისი საგარეჯოში



ზაფხულის პირველ დღეს აღინიშნება ბავშვთა საერთაშორისო დღე ( International Children’s Day). 1949 წელს „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ“ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე დააწესა. პირველად 1950 წლის 1 ივნისს აღნიშნეს. მისი მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ახალი ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.

ქ.საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე-მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების პარალელურად ბავშვებმა ფერადი ცარცებით ასფალტი მოხატეს. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა მუნიციპალიტეტში ნაყინის აქციით დასრულდა.

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 მაისის მორიგ სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობის და დამტკიცების შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა** (თანამომხსენებელი ***საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე* ნიკოლოზ ვაჭრიშვილი**). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №994 განკარგულებით და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების გაზრდით ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლის ნაშთის შემცირებით. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის შემოსულობები გაიზრდება 42 ათასი ლარით, გადასახდელები 443968 ლარით. 42 ათასი ლარით გაიზარდა გრანტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან – საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებას დაემატა 42000 ლარი, დაფინანსდა სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის სატუმბი სადგურების მაგისტრალის მოწყობა და გამრიცხველიანების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელებულ ცვლილებებს, როგორც ქ-ნმა თინათინ ძაბილაშვილმა თქვა, – საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №994 განკარგულებით წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციასა და მოვლა-შენახვის ხარჯებს დაემატა 42 ათასი ლარი – სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის სატუმბი სადგულების მაგისტრალის მოწყობისა და გამრიცხველიანების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენისათვის.

***რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლის ნაშთის შემცირების ხარჯზე დაფინანსებას, დაფინანსება მოხდება:***

***1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის არაფინანსური აქტივები გაიზრდება 3266968 ლარით, კონკრეტულად:***

***1) სოფელ თოხლიაურში სასმელი წყლის ჭაბურღილის, 50 ტონიანი რეზერვუარისა და 800 მეტრიანი ქსელის მოსაწყობად – 88790 ლარი;***

***2) სოფელ პატარძეულში სასმელი წყლის ჭაბურღილის ამორეცხვა, არსებული ტუმბოს მონტაჟი და ქსელის მოწყობა – 13556 ლარი;***

***3) ქ. საგარეჯოში „სამების" ქარხანასთან არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილის ამორეცხვა, არსებული ტუმბოს მონტაჟი 1კმ-იანი ქსელის მოწყობა – 35 000 ლარი;***

***4) სოფელ კაკაბეთში – სასმელი წყლის შემკრებისა და ქსელის მოწყობა – 6000 ლარი;***

***5) სოფ. გომბორში დაზიანებული წყალსადენის ქსელის შეცვლა – 16042 ლარი;***

***6) სოფელ გიორგიწმინდაში საბავშვო ბაღთან არსებული საკანალიზაციო სისტემის შეცვლა – 17271 ლარი;***

***7) წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 150000 ლარი;***

***2. გარეგანათების არაფინანსური აქტივები გაიზრდება 2463 ლარით. კერძოდ: გარეგანათების მოწყობისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 28025 ლარი, ქ. საგარეჯოში, სათავისა და იმედის ქუჩებზე გარეგანათების მოწყობისათვის – 20000 ლარი, ხარჯთაღრიცხვის თანხამ შეადგინა 25447 ლარი; ნინოწმინდის გარეგანათებაზე დაიხარჯა 5041 ლარი.***

***3. ხევების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდისათვის არაფინანსური აქტივები გაიზარდა 67997 ლარით, კერძოდ:***

***ა) საგარეჯოში, ე.წ. მდინარე ტიკიაურას კალაპოტის და გაღმა უბანში არსებული ხევის კალაპოტის გაწმენდა ნატანისაგან – 17997 ლარი;***

***ბ) ხევების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდა – 50000 ლარი;***

***4. სანიაღვრე არხების აღდგენისათვის არაფინანსური აქტივები გაიზრდება 7000 ლარით. კერძოდ: ქ. საგარეჯოში ერეკლე II-ის ქუჩაზე ცხაურების და სანიაღვრე არხების გაწმენდა – 7000 ლარი.***

***5. მედიაპროექტ „ეტალონის" გამარჯვებული მოსწავლის სტიპენდია 8 თვეში დაფინანსდება 800 ლარით.***

რაც შეეხება სახელმწიფო ფონდიდან დაფინანსებას, დაფინანსდა სოფელ მანავში ე.წ. „ბაძუაანთ ხევის" ნატანისაგან გაწმენდის სამუშაოები – 2813 ლარით.

აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების" სუფსიდია გაიზარდა 600 ლარით – დაფინანსდა ლეო ანთაძის საიუბილეო წარმოდგენა.

აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების" სუბსიდია შემცირდა და არაფინანსური აქტივები გაიზარდა 7000 ლარით საბავშვო ბაღების სამზარეულოების კეთილმოწყობისათვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების უფროსმა* ხათუნა ყორღანაშვილმა** (თანამომხსენებელი **ნიკოლოზ ვაჭრიშვილი**). როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის 3 თვის შემოსავლები 2015 წლის სამი თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 84 პროცენტით, გეგმიური 1758,4 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 1486,6 ათასი ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის სამი თვის გადასახდელების გეგმა წლიურ გეგმასთან შედარებით შესრულდა 20%-ით (გეგმა 8451.2 ათასი ლარი, შესრულება 1697 ათასი ლარი).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის სამი თვის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება სამი თვის დაზუსტებულ გეგმასთან ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შესრულდა 82 პროცენტით (გეგმა 2077.7 ათასი ლარი, შესრულება 1694.9 ათასი ლარი).

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის მომდევნო საკითხებზე: აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების" დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის №22 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების" რეორგანიზაციის (გაყოფის) და მის ბაზაზე აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 სექტემბრის №80 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების" წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 მარტის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 მაისის №33 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის ხარისხის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევის ცენტრის შექმნისა და წესდების დამტკიცების თაობაზე", აიპ „საგარეჯოს სათნოების სახლის" შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 23 თებერვლის №16 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის გარეჯის მაცნეს" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის №18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის აიპ-ად „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის დაფუძნების და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ივლისის №62 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება – სსიპ „საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლის" საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლის აიპ-ად დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ივლისის №60 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე", აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წესდების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 ივნისის განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა იურიდიულ საკითხებში* გიორგი გოგოჭურმა** (თანამომხსენებელი ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე* მევლუდ დუჩიძე**).

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვის დროებითი სამუშაო ჯგუფის გაწეული ანგარიშის მოსმენის შესახებ" მოხსენება გააკეთა ამავე ***ჯგუფის ხელმძღვანელმა* გოჩა ჩერქეზიშვილმა.**

საკითხების „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქ. საგარეჯოს კოსტავას ქუჩის დაზიანებული სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოს შეძენისა და მონტაჟის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ" და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თულარში სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის ორი გრძივი მეტრი 110 მმ-იანი მილის შეცვლის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსმა* ბექა ფეიქრიშვილმა** (თანამომხსენებელი ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე* ელდარ მეფარიძე**).

სხდომაზე წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ იმსჯელეს დეპუტატებმა და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



### 2 ივნისი, 2015წ

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* დავით ივანიშვილი** უძღვებოდა. მან თათბირის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოისმინა ზეპირი ინფორმაციები გამგებლის წარმომადგენლებისაგან. სოფლების – ნინოწმინდისა და წყაროსთავის გამგებლის წარმომადგენლებმა თამარ გარსევანიძემ და გიორგი კერატიშვილმა ისაუბრეს აღნიშნული სოფლების მოსახლეობის იმ პრობლემაზე, რომელიც მათ მათივე კუთვნილებაში არსებულ სავარგულებამდე მისასვლელ გზამდე შეუქმნათ სარწყავი არხის გაწმენდისას ამოღებული მასის აღნიშნულ სავალ გზაზე, არხის ნაპირებთან დაყრამ. ამ მიზეზის გამო მოსახლეობა ავტოტრანსპორტის ნორმალურ გადაადგილებას ვერ ახერხებს და იძულებულია სიმინდის ნათესებზე იაროს.

გამგებლის წარმომადგენლის მზისგულში (ბოგდანოვკა) მიხეილ ობოლაშვილის ინფორმაციით, სოფლის საუბნო ონკანებიდან ზოგიერთ მოსახლეს სასმელი წყალი შეყვანილი აქვს საკუთარ სახლებში, რის გამოც სოფელი უკმაყოფილებას გამოთქვამს, მაგრამ ზოგიერთი ასეთი მოსახლის თვითნებობის აკრძალვისათვის სოფელს არ გააჩნია სადამსჯელო ბერკეტები... მან კიდევ ერთხელ შეახსენა გამგეობის წარმომადგენლებს, რომ სოფლის გზა მოსახრეშია, რის გამოც ქვეითადმოსიარულეებს წვიმიან ამინდში გადაადგილება უჭირთ.

სასმელი წყლის საუბნო ონკანებიდან თვითნებურად საკუთარ სახლებში სასმელი წყლის შეყვანის ფაქტებზე გააკეთა ზეპირი ინფორმაცია გამგებლის წარმომადგენელმა ბადიაურში ნანა ტაველიშვილმა.

თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებმა სოფლებში ისაუბრეს ადგილებზე არსებულ პრობლემებზე.

თათბირს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გიორგი ქურდოვანიძე და ამავე გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ივანელაშვილი. მათ ისაუბრეს გამგებლის წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების შესახებ და აქვე დაისახა აღნიშნული პრობლემების მოგვარების გზები.

თათბირზე მოსმენილი საკითხები შეაჯამა და მათი მოგვარების საბოლოო გზები გააცნო თათბირის მონაწილეთ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ დათო ივანიშვილმა.



## წარმომავლობა

**საგარეჯოს** ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **დავით ივანიშვილი** საგარეჯოელია. იმ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, რომელიც კომუნისტურ რეჟიმშიც კი ტრადიციებს მართლმადიდებლური ჭეშმარიტებით მისდევდა. დედა – ნანი ქაიხოსროშვილი ჯერ საგარეჯოს II, შემდეგ კი საგარეჯოს I საშუალო სკოლების უცხო ენის მასწავლებელი დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა და სარგებლობს კოლეგებსა და მოსწავლეებში. საოცრად თავმდაბალი, მორიდებული, გაწონასწორებული, დამწყები პედაგოგი ჩვენში, მოსწავლეებში ისეთი დოზით იმსახურებდა პატივისცემასა და სიყვარულს, რომ კლასში 26-ვე მოსწავლემ გაკვეთილი ყოველთვის ვიცოდით. ნანი მასწავლებელმა თავისი პიროვნული ხასიათებითა და თვისებებით დაგვარწმუნა, რომ მასწავლებელი მკაცრი, მომთხოვნი კი არა, სწორედ მისნაირი უნდა ყოფილიყო – მოსწავლეების მოყვარული და თავისი პროფესიის ერთგული. და კიდევ ერთი, ნანი მასწავლებელმა თავისი პიროვნული სიმაღლე მაშინაც დაგვიმტკიცა, როცა სკოლაში უფროს რძალს – შორენას თავისი კუთვნილი უცხო ენის საათები გაუყო, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ კი უმცროს რძალს – ნინოს ყველა საათი დაუთმო და თვითონ ოჯახის დიასახლისობას და ბებიობას დასჯერდა. თუმცა, სულ ახალახანს შვილთაშვილიც შეეძინა. საგარეჯოელებს კარგად ახსოვთ ნანი და ნელი ქაიხოსროშვილები – დები, რომლებიც ჩვენი ქალაქის, რაიონის ინტელიგენციის აქტიური და წამყვანი პიროვნებები იყვნენ და არიან. ხანდაზმულთა მეხსიერებას შემორჩა მათი ბავშვობა, ერთი ციდა თეთრბაფთიანი გოგონების სცენაზე გამოსვლა. შემდეგ კი, რომც არ ჰქონოდათ სურვილი სცენაზე გამოსვლისა, თავად მსმენელი ითხოვდა მათი ხმის გაგონებას. დღეს ქ-ნი ნანის რძალი შორენა, – უფროსი შვილის ვანიკოს მეუღლე და შვილიშვილი – მაგდა დგანან სცენაზე – სახალხო ანსამბლ „ჩინარის“ I და II თაობა...

მამა – გივი ივანიშვილი საგარეჯოს რაიონში არსებული სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციის ერთ-ერთი წამყვანი, უნარიანი ხელმძღვანელი იყო წლების განმავლობაში. კაცი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით მართლაც რომ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა საგარეჯოსა და კახეთის მხარეში. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა დათომ და ვანიკომ პაპა-ბებიების დავით და მარიამ ქაიხოსროშვილებისა და ეთერ და ივანე ივანიშვილების, მშობლების მიერ აღზრდილებმა და დამოძღვრილებმა ცხოვრების გზაზე საგზლად კაცურ-კაცობა, ადამიანობა და ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული ისაგზლეს. დათოს მეუღლე – ნინო როსტიაშვილი საგარეჯოს I საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელია. შვილები: გიგი 9 წლისაა, მარიამი – 7-ის, თეკლე – კათოლიკოს-პატრიარქის ნათლული – 5 წლისაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ძმა მღერის, ამასთან დათოს ხატვის დიდი ნიჭი და სიყვარულიც უბოძა უფალმა.

## მხატვარი

**სკოლაში** სწავლისას ხაზვა იმდენად უყვარდა, თავად პედაგოგიც კი იყო გაკვირვებული. ხაზავდა სახლის პროექტებს და როცა მამას თავიანთი სახლის გადასაკეთებლად „სტერეოტიპული პროექტი“ კი არა, უფრო თანამედროვე და იმ დროისთვის, კომუნისტებისათვის „მიუღებელი“ პროექტი წარუდგინა, მამაც გაოცდა და რაიონში ცნობილი „დამპროექტებლებიც“. ასე იყო მის ნახატებზედაც. სახლშიც და სკოლაშიც შავი ფერის ფანქრით ხატავდა. მხოლოდ სკოლის დამთავრების შეუძინა მამამ „სერიოზული საღებავები“. პირველად სერიოზულად დათომაც ფანერაზე დახატა და ჩვეული ღიმილით მითხრა – ერთ მტკაველს ერთი ღამე მოვანდომეო.. თვალწინ წარმომიდგა დათო რატომღაც, რამხელა „პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე“, ჩაფიქრებულმა, მონდომებულმა, ხან დაძაბულმა, ხან მომღიმარმა... მას შემდეგ ხშირად დასთენებია, ხშირად მამლების ყივილს მოუსწრია, მაგრამ ვერც დღის სინათლის მოძალება უგრძვნია და ვერც ჩიტების ხმა გაუგონია – თითოეულ შტრიხს, ფერთა გამას, სინათლის სხივს ტილოზე თავისი დატვირთვა აქვს, თავისი მუსიკალური ნოტი და თუ ქართული ენის ხმოვანებაც შეაქვს?!

მოსწონს პეიზაჟის, ნატურმორტების და, საერთოდ, ნატურაში ხატვა. ხმადაბლა, მორიდებული ტემბრით მითხრა: – მოდერნისტული ნამუშევრების შექმნის იდეები „მაწუხებსო“. მხატვრებიდან იმპრესიონისტები მომწონს, საათობით შემიძლია ვუყურო იმ ნახატებს, საიდანაც უარყოფითი ენერგია არ მოდისო. ყველაზე დიდი სიხარულის მონიჭება კი იმ საქმეს შეუძლია, რომელიც გიყვარს, იხარჯები. როცა შინაგანი ემოცია გაწუხებს, რაღაც რეალურს შეხედავ და მისი დახატვა მოგინდება და მოგწურდება, ნამუშევარიც კარგი გამოგდის და სულიერადაც დიდ კმაყოფილებას, დიდ სიხარულს განიცდი. მაგრამ ბოლოს „ძველი სახლი საგარეჯოში“ დავხატე, ეს სახლი „გიგოს წყლის“ ქვემოთაა. ძალიან ლამაზია თავისი სიძველით. მას შემდეგ კი ჯერჯერობით ველარაფერს ვაკეთებ – სამსახურის გამო დრო აღარ მრჩება.

***– დათო, უკვე შექმნილ ნამუშევრებზე რას გვეტყვით, საინტერესოა გავიხსენოთ ის გამოფენებიც, რომლებმაც ქართველები და უცხოელებიც აღფრთოვანებაში მოიყვანა...***



– დიდი სიამოვნებით ვხატავ პეიზაჟებს, განსაკუთრებით მიყვარს ძველი თბილისის სახლები. მე თვითნასწავლი მხატვარი ვარ. ამდენად, პრეტენზიაც არასოდეს მქონია დიდ მხატვრობაზე. 2005 წელს, თბილისში მოწყობილ შერეულ გამოფენაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ასეთივე შერეული გამოფენა იყო საფრანგეთში, უფრო სწორედ – ჯგუფური. სტრასბურგში გაზაფხულსა და შემოდგომაზე მერიის წინ ეწყობა ხოლმე გამოფენა. ამ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მხატვარი 1 წლით ადრე რეგისტრირდება. მადლობა უფალს, რომ შემთხვევით მოვხვდი მე იქ. ჯგუფიდან ერთ-ერთი რაღაც მიზეზის გამო ვერ იღებდა მონაწილეობას და ჩამსვეს მე. იმ გამოფენაზე 5 ჩემი ნამუშევარი გაიყიდა, ერთი ნამუშევარი ქართველმა, სტრასბურგის მთავარმა მოსამართლემ ნონა წოწორიამ შეიძინა. ჩემი ნამუშევარი „ყვავილების თაიგული“ კი სტრასბურგის სავაჭრო ბრენდების ინდუსტრიის დირექტორმა შეიძინა. მან დიდი სურვილი გამოთქვა ჩემი ნამუშევრის „თბილისის პანორამის“ შეძენის (3მX1.5მ-ზე), მაგრამ გასაყიდად ვერ გავიმეტე, რისთვისაც ძალიან გავანაწყენე ჩემი ნამუშევრის „სტრასბურგელი თაყვანისმცემელი“ – როგორ,

**„იყო შემოქმედი, ნიშნავს იყო ჭურჭელი თავისუფლების, სულ გსვამდნენ და სულ ივსებოდე“!.**

ამხელა გზაზე ჩამოიტანეთ და რატომ არ ყიდითო?!

***– ალბათ ვერ გაიმეტეთ...***

– დიახ, ასეა. ხანდახან ხდება ისე, რომ ვერ იმეტებ, არ გეთმობა. გორკიდან იყო ჩამოსული სამხედრო ქირურგი – გენერალი, ძალიან მოეწონა ჩემი „პირველი საღებავებით“ შესრულებული „ზამთრის პეიზაჟი“. როცა ვაჩუქე, თქვა: – თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევრების კოლექცია მაქვს, „ზამთრის პეიზაჟის“ ავტორი კარგი მხატვარი დადგებაო...

***– მართალი უთქვამს, პერსონალური გამოფენები ხომ ამტკიცებს მის ნაწინასწარმეტყველებს?!***

– ალბათ. საფრანგეთში სულ 11 ნამუშევარია გაყიდული. ორი პერსონალური გამოფენა იყო მოწყობილი ჩემი, ერთი თბილისში, რუსთაველზე და მეორე ბათუმის „მხატვრის სახლში“.

***– გვახსოვს. მაშინ ტელეარხებმა აჩვენეს ეს გამოფენები და ჩვენც გთხოვეთ ინტერვიუ, მაგრამ უარი გვითხარი – მე კი მივხვდი – თავმდაბლობას გამოხატავდა შენი პასუხი: ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებიაო... მერე გავიგეთ, სხვა დროს გულიც დაგწყდა რამდენიმე ნამუშევარზე.***

– გეთანხმებით. ერთი პერიოდი სპორტსმენის, მოჭიდავისა და ჭიდაობის ყოფილი პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის სახლში კერძო შეკვეთით ვხატავდი, მაგრამ, სანამ შეკვეთის თანხას გადამიხდიდა, მის ქონებას კონფისკაცია გაუკეთდა და იქ ჩემი უზარმაზარი ნახატებიც მოხვდა. მათ შორის იყო „თბილისელი ხალიჩებით მოვაჭრენი“, ნადირობის პეიზაჟი „იხვების გადაფრენა“, ძველი თბილისის პეიზაჟები. მათთან ერთად იყო მითოლოგიურ თემაზე შექმნილი 2 ნამუშევარი. აუქციონზე გატანის შემდეგ 5 ნახატი 2000 ლარად ჩემიდეიდაშვილის მეუღლემ – კახა ლომიძემ შეიძინა (კახას სულ 8 ჩემი ნამუშევარი აქვს). ერთი ნამუშევარი უკრაინის საელჩოს ფოიეშია, 2 ნამუშევარი კალათბურთელი ზაზა ფაჩულიას დედამ შეიძინა, ერთი ნამუშევარი აზერბაიჯანის ელჩმა, კოლექციონერ გოჩა ნიჟარაძის კოლექციაში კი 7 ნამუშევარია.

***– ახლა რაზე მუშაობ? მომავლის რა გეგმები გაქვს?***

– ჯერჯერობით ველარ ვახერხებ. როგორ გითხრათ, მოდილიანის ასაკს გავცდი, მან ხომ 38 წლისამ ყველაფერი გააკეთა. ახლა გოგენის ასაკში ვარ – მან ხომ 42 წლისამ შექმნა მთელი ეპოქა?! (იცინის). როცა ხატვისთვის ვერ ვიცლი, მაშინ ლექსებს ვწერ.



**„კაცობრიული სული რომ წარმავალი არ გახდეს, არ მიიცვალოს, სწორედ ამისთვის იქმნება ხელოვნება. ამისათვის არსებობს პოეზიაც“...**

***დათოს ლექსები საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადში“ იბეჭდებოდა. ახლა დღის სინათლეს ის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ნახავს და შემფასებელიც ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ეყოლება.***

### ბრბო და გიჟი

ვინ იცინის, ვინა ტირის,
ვინ შორიდან იყურება,
ქუჩას შემხვდა ავადმყოფი ბრბოს
გიჟად რომ ესახება,
იქვე მჯდარი ორი კაცი
გასართობად ემზადება,
მას გაუბეს საუბარი, ხმა სიცილით
ეკარგებათ.
ამ ორს სხვებიც მიემატნენ,
ბრბო გართობას ეხარბება,
მე სიცილის ამ ‘’ჰანგებით’’,
სინანულით მეტირება,
გიჟი ძლიერ მებრალება,
დანარჩენზე გული მწყდება,
უგუნურნი არ ფიქრობენ ავადმყოფს რა ელხინება.
ხან იცინის, ხანაც ტირის,
სხვა არაფრის გაეგება
არვის არ შურს, არვის ავნებს,
არც არავის ემდურება,
მაინც ვიღაც გაიცინებს, მაინც
ვიღაც შეშინდება
ქვეყნად ივლის, რომ გვაჩვენოს
კაცის ბრბოსგან განსხვავება.
ქუჩას დადის ავადმყოფი,
ბევრს გიჟად რომ ესახება
დადის არვის არას ერჩის,
არც არავის ემტერება,
არც სიცოცხლის გაეგება,
არც სიკვდილის ეშინია,
ბრბოსი რა ვთქვა, მაგრამ თვით გიჟს
სამოთხის გზა ელოდება...

### მარტოობა

ვის უგემია მარტოობის ავი და კარგი,
ავი იმიტომ, რომ მარტოობა
საკუთარ გულს ვნებს,
მაგრამ თუ ვინმე დაუფიქრდა
კარგი რად არის,
კარგი იმიტომ, რომ სადღაც სულში
ღრმად ფიქრს აღვიძებს.
მისცურავ ფიქრის ოკეანეს
შორს შეგიტყუებს,
ხელს არა გიშლის და ნაპირი
სულ არ განაღვლებს,
ასე გგონია უსასრულოდ ზღვა არის
მშვიდი,
ასეთ წყნარ წყალში ჰბედავ და ეძებ
სულის გასაღებს.
ხანდახან ფიქრის ოკეანე,
მართლაც მშვიდია,
მზე ცის კარიდან სათნოებით
შემოგანათებს,
ხანაც უეცრად დაგატყდება
ველური შტორმი
ნაპირს გაგიყვანს
და სალ კლდეზე შემოგანარცხებს.
თუმცა ამ ზღვაში შენი თავი
შენვე გეკუთვნის,
მოსწყდები კლდის პირს
უვნებელი ღრმაში შესცურავ,
ახლა შუა გზას გადაგეყრება
აისბერგები
ყინვა გაფხიზლებს და მარტო კაცს
ძლიერ შეგცივა.

***

ატმის კვირტები შემომსხდარან
შიშველ ტოტებზე,
ხე ჭორიკნული მორცხვი ფერით
შეუმოსიათ,

დასასრული IV გვ.

## შემოქმედი

### დათო ივანიშვილი:

# — „როცა დიდ სიხარულს განიცდი“...

ბედნიერების გამარჯვებას
ჟრიამულობენ,
ამოკოკრილებს ერთმანეთი
დაუკოცნიათ.
აქ მომღიმარი გაზაფხული მზის სხივებს
იხმობს,
აქ ახლა ყველა სიყვარულის კარია ღია,
თვალ ნაამბორი ყვავილებიც გაიოცებენ
და სიყვარულით სილაჟვარდეს
გულში ეკვრიან.....
ატმის კოკრები შიშველ ტოტზე
დაიმორცხვებენ,
ამ დროს ხომ ირგვლივ
სიყვარულის კარია ღია!!

**მართლმადიდებლობა**
**ეკლესიები**



**ხატები**

**საგარეჯოს** ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ე.წ. „კოდაზე“ წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესია საზოგადოება „გარეჯელების“ ინიციატივით აშენდა. ეკლესიის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დათო ივანიშვილიც. დათო იქ კედლის მშენებლად მუშაობდა და ეკლესიის კედლის შიდა მხარეს აშენებდა. მაშინ მშენებლობისას ბევრი რამ მისი მითითებით გამოსწორდა.




ნინოწმინდაში ახლადაშენებული ეკლესიის კანკელი მისი მოხატულია, ამავე ტაძარშია დაბრძანებული მის მიერ დაწერილი ხატები: საქართველოს მეოხი დედა ღვთისმშობელი 12 წმინდანით გარშემორტყმული, მათ შორის დავით აღმაშენებელიცაა. საკურთხეველში წმინდა ნინო, ასევე წმინდა ნინოს ხატი (ანალოღიაზეა დაბრძანებული) – ხატის შუაგულში წმინდა ნინოა გამოსახული, ხოლო ნინოწმინდის მონასტერს აქ გვირილის ფორმა აქვს. ასევეა ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატი „მოალერსე“, წმინდა გიორგის ორი ხატი – ერთი ცხენზე ამხედრებული და მეორე ბეშქან და ბექა ოპიზრების მიერ დაწერილი წმინდა გიორგის ხატის ასლი – ფარით და მახვილით, აქვეა წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ხატიც.

დათოს მოხატულია საგარეჯოს თავთა მოციქულთა წმინდა პეტრეს და წმინდა პავლეს სახელობის ტაძრის კანკელის ხატებიც.

**ჰერალდიკა**
**გერბი და დროშა**

**2010 წელს** ჩვენი ქვეყნის თითოეული მუნიციპალიტეტის სიმბოლოებით იდენტიფიცირების საჭიროება დადგა დღის წესრიგში. გამოცხადდა კონკურსი მუნიციპალიტეტის დროშისა და გერბის შესარჩევად. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ ესკიზებში ყურადღება ეთმობოდა ფერისა და სიმბოლოთა გამოყენება-განლაგებას, მუნიციპალიტეტის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, იდეასა და ნატურალიზაციას. უნდა გამოყენებულიყო დავით გარეჯის, როგორც საგარეჯოს ერთ-ერთი ძირითადი ისტორიული და საეკლესიო მახასიათებლის საეკლესიო სიმბოლოები. წლის ბოლოს საკონკურსო სხდომის მიერ განხილული ნამუშევრებიდან უპირატესობა დათო ივანიშვილის ნამუშევრებს მიენიჭა, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა (2011 წლის 27 მაისი) და საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმდა.

**დათო ივანიშვილი: –**

– გერბის ფარი გაკვეთილია და ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველი ნაწილი – ძოწის ველზე ოქროს სახელოიანი ოქროს ხელის მტევანია, რომელსაც 7 ოქროს სხივით გასხივოსნებული ოქროს ქვა უჭირავს. ოქროს ხელის მტევნის ზემოთ და ქვემოთ მოთავსებულია 6-6 3/3 და 3/3-ზე ოქროს ჯვარი). (ოქროს ქვა – დ. გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან საქართველოში ჩამოტანილ მადლის ქვას განასახიერებს, ხოლო 6-6 ჯვარი, სულ 12, დ. გარეჯის სამონასტრო კომპლექსში განლაგებულ თორმეტ მონასტერს).



მეორე ნაწილი – მეწამულ ველზე ოქროს სარზე შემოხვეული, ფესვებიანი ვაზი, სამი მტევნით და სამი ფოთლით.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი: „საგარეჯო“.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობას, დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი ძოწისა და მეწამულ ველებად. ძოწის ველს უჭირავს დროშის 1/3. მასზე გამოსახულია ოქროს სახელოიანი ოქროს ხელის მტევანი, რომელსაც ოქროს გასხივოსნებული ქვა უჭირავს ხელში. ოქროს ხელის მტევნის ზემოთ და ქვემოთ მოთავსებულია 6-6 (3/3 და 3/3) ოქროს ჯვარი.

დროშის პროპორციაა 2:3.

***დღეს დათო ივანიშვილი თავის ყოველდღიურ სამუშაო დღეს იმ დროშის ნახვით იწყებს, რომელიც მისი ავტორობითაა შექმნილი და იმ გერბის ქვეშ წარმართავს სამუშაო თათბირებს, რომელიც ასევე, მისი რუდუნებითაა შექმნილი.***

---

## ახალი სახეები

## პოეზია

# „ლექსები – მარადისობის საუკუნე“



**ნანა** ჯიღაური-ვოროშილოვი სოფელ ბოგდანოვკაში (ახლანდელი მზისგული) დაიბადა და გაიზარდა. აქვე დაამთავრა სკოლა და სწავლა თბილისის ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ სასწავლებელში განაგრძო. სასწავლებელში სწავლის პერიოდში წერდა ლექსებს, უბრალოდ, მაგრამ გულით და სულით. მათში თავის სითბოს, თავის ნაფიქრალს აქსოვდა. ლექსები დაბეჭვდით ერთი-ორჯერ დაიბეჭდა, რამაც დიდი სიხარული მოანიჭა. თავად არასოდეს უზრუნია ლექსების გამოქვეყნებაზე. ახლაც გაუბედავად შემოხსნა ჩვენი გაზეთის რედაქციის კარი, თავისმა ნათესავმა შეაგულიანა, ძლივს გადმოაბიჯა კარების ზღურბლს და სათქმელიც ჯერ გაუბედავად დაიწყო... ნელ-ნელა გავათამამეთ, ნელ-ნელა გვითხრა სათქმელი – თუ ღირსად ჩათვლით, იქნებ დამიბეჭდოთო. თურმე საერთოდ განადგურებას უპირებდა საკუთარი ლექსების რვეულს, რადგან შიგ ძალიან ბევრი თავისი განცდა, გასაჭირი ჰქონდა ჩაქსოვილი, რომელსაც სხვას ვერ გაანდობდა, სხვას ვერ დაამძიმებდა თავისი პრობლემებით... წერდა მაშინაც, როცა ბოგდანოვკის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან მასწავლებლობდა, მაშინაც, როცა ამ ოთხი წლის წინ სამსახური დატოვა, მაშინაც როცა მეუღლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაეცვალა და წერს ახლაც, როცა გულზე სევდა შემოაწვება, როცა თავისი ულონობის და უსახსრობის მიუხედავად თავის ორ შვილს ყველაზე მეტად უფრო მისი თავი სჭირდებათ ...

მაშ, ასე, გთავაზობთ ლექსებს, რომლის ავტორს არც ლექსთა კრებულის გამოცემაზე აქვს პრეტენზია და არც პოეტობაზე, დანარჩენი კი თქვენთვის მოგვინდვია, ძვირფასო მკითხველო ...

***

ახლა გვიანია, მუხლებზე დაჩოქილი
ლოცულობს უფალი
და ცრემლი მარტოსული,
ცრემლი სისხლიანი ეცემა მიწას.
ეს ბაღი ლამაზი უჩვეულო მოვლენების
გახდება მოწმე
და აღთქმა შემოქმედის საზარელი
სიზუსტით მიაღწევს მიზანს.

ახლა იზეიმე, მეჯლისი, შენი შეკვეთილი.
მერე რა, რომ სამყაროს უფრო
დააბნელებს წარმართთა მოთქმა.
სატანავ წყეულო,
მეფე ხარ ამა სოფლის ძლიერთა რჩეული
და ამიერიდან შენს ფეხქვეშ გაეგება
ადამის მოდგმა.
ნეტავ, თუ ინანებ ოდესმე ამ ნაბიჯს, გათავხედებულო,
ნუთუ არ შეგზარა თამაშის შედეგმა,
არ შეკრთი სულაც.
საკუთარ ფიქრებთან მარტო თუ
დარჩენილხარ ოდესმე “მბრძანებელო”,
თავი თუ შეგახსენა ნეტავი სინდისმა,
სულ წამით თუნდაც.

ახლა შენ მეფე ხარ, შენია ძალა და
სამეფო გვირგვინი.
და ამიერიდან პატივს მოგაგებენ ერები მზისა,
და შენი დიდების შუქქვეშ,
უგუნურო, უბრალოდ ვერ ამჩნევ.
რა შემცბარნი უყურებენ შენს მეჯლისს
“დიდებულს” მნათობნი ცისა.

ახლა გვიანია, გვიანია,
უბრალოდ რამის შესწორებაც,
თუნდაც დანთებულა მთელი ეს სამყარო
სირცხვილის ცეცხლად.
უკვე გვიანია, ცოდვამ გააკეთა
თავისი არჩევანი
და უბრალო მონასავით
გაიყიდა უფალი ოცდაათ ვერცხლად.

***

ჰოი, დედამიწავ,
მოკვდავის ყურთათვის რა უცხოდ ხმიანობ.
როგორ მოგვიხუცდი,
თანდათან სიბერისგან როგორ იხარჯები.
მგონი შე ბედშავო როგორ დაიღალე.
იქნებ შე საბრალოვ, როგორ დაიღალე.
ალბათ მშობლიურო, როგორ დაიღალე
ასე უსასრულოდ მარტო რომ იტანჯები.
ჰოი, დედამიწავ,
მოკვდავის თვალთათვის რა უცხოდ ელვარებ,
შენი უპროლოგო მაკრომემუარი
სიძველით დაფერილი
თუმცა მაშტაბებით ის კოლოსალურია,
თუმცა სილამაზით ის გრაციოზულია,
თუმცა შინაარსით ის გრანდიოზულია.
ვაი, რომ შენს ენაზე არ არის დაწერილი.
არასდროს გგონია,
არადა ამ ცხენების აუტანელ თქარათქურს,
ამ სისხლისფერი ცხენების სასიკვდილო
თქარათქურს,
ამ სისხლიანი ცხენების ამაზრზენ
თქარათქურს
უყურე, უცნაური ფინალი ჰქონია!
ჰოი, დედამიწავ,
მოხუც მილიარდერს მაგონებ, ძვირფასო,
თავისი მემუარი რომ ვერ აუკინძავს,
სიძველით დაფერილი.
თუმცა მაშტაბებით ის კოლოსალურია,
თუმცა სილამაზით ის გრაციოზულია,
თუმცა შინაარსით ის გრანდიოზულია,
ვაი, რომ ჩვენს ენაზე არ არის დაწერილი

როგორ არ მიყვარდეს, როგორ არ
ვადიდო შენი შემოქმედი,
როცა ჩუმი სევდა გულიდან ამოსული,
რითმებს დაენთება.
და ამდენი ვარსკვლავი ოცნებამორეული

**„სულის სიმართლეს ვერავინ წაგართმევს, რადგან სენსა და უზენაესს, შენსა და უდროობას, შენსა და თავისუფლებას შორის ფრიალებს ზავის თეთრი ბაირაღივით... ის შენი ბედნიერებისა და ნეტარების გარანტიაა, შენც მთლიანად მის მეუფებაში არსებობ“...**

შენი არსებობის ყოველი ამოსუნთქვა
რაღაცას გვიამბობს,
შენი ისტორია სავსეა ღვთის ურჩი თუ მორჩილი შვილებით.
და ისევ დროს ებრძვის სიცოცხლის მდინარე.
და სამყაროს ახმაურებს სიცოცხლის
მდინარე.
და მიედინება სიცოცხლის მდინარე –
თავისი ღმერთებით, თავისი ერებით,
თავისი გმირებით.
ათასი მოვლენა დროის შარაგზაზე
ერთ წიგნად იკინძება,
ერთი უსასრულო სიცოცხლე
მოვლენათა ათას ძაფს მიჰყოლია.
საზარელიაო დროის განაჩენი,
ულმობელიაო დროის განაჩენი,
შეუვალიაო დროის განაჩენი-
მტვერწაყრილ ნანგრევებში ჩურჩულებს
ისტორია.
ნესტოებდაბერილი სიკვდილის
მუსტანგების ქროლვა – მარათონი.
აღარ დასრულდება, არც კი შეჩერდება
და ამდენი ვარსკვლავი,
ვით ზმანების ორეული.
და ამდენი ვარსკვლავი,
ვით მოკითხვა შორეული.
საღამოს ბინდში რომ ლოცვად აენთება.

***

– იქ შენს სამშობლოში,
გაზაფხული დამდგარაო!
– ახარა ნიავმა მერცხალს.
მთა-ბარი გადამწვანდა,
ამღერდნენო მინდვრები,
ყინვამ რომ გადაახმო ერთხანს.
უსასრულო თოვლიანი ღამეებით დაქანცული
ბუნება ზამთრის ქურქს ბერტყავს.
– იქ, შენს სამშობლოში მეგობრები
გელიანო, –
მოეფერა ნიავი მერცხალს.
სიცოცხლე შეეხო ასწლოვანი მუხების
დაბერებულ, გათოშილ მერქანს.
– გაზაფხული დამდგარა,
სამშობლოში ბრუნდებითო,
– უჩურჩულა ნიავმა მერცხალს.

**„მხოლოდ უფალმა უწყის, როდის უნდა შეხვდეს ადამიანი ცხოვრების მეგზურს, თუ უფალმა ინება, გაჭენებულ ცხენსაც რომ მიაქროლებდე, შენი საბედო კი გადაცმული მიაბიჯებდეს გზაზე, მაინც შეაჩერებ ცხენს და შენს რჩეულს შეიცნობ. თუ ადამიანი ეკლესიურად ცხოვრობს, გრძნობებს წმინდად იცავს და ემოციებს არ აძლევს ნებას საკუთარი თავის მართვისა, სულიერი მამის მორჩილებაშია და მნიშვნელოვანია მისთვის მშობლების კურთხევა, მაშინ ის მშვიდად და მოთმინებით დაელოდება, ვიდრე უფალი მას თავის II ნახევარს გამოუგზავნის, ეს კი შესაძლოა, სრულიად სხვადასხვა ასაკში მოხდეს. წინათ ძალიან ადრეულ ასაკში ქორწინდებოდნენ, რათა გადაელახათ სიჭაბუკის სახიფათო ასაკი, როდესაც ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცის საკუთარი თავის ფლობა“, – გვეუბნება მღვდელი ალექსანდრე ილიაშენკო.**

## ოჯახი – მცირე ეკლესია

# „ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს“...



**ირაკლიმ** მარი პირველად სცენაზე დაინახა – ანსამბლ „იმედის“ კონცერტზე. რაღაც სხვანაირი თვალით შეხედა სცენაზე მოცეკვავე გოგონას და სამყაროც მისთვის ცოტაზე მეტად ფერადი გახდა. მაშინ, სულ წელიწადნახევრის წინ, ირაკლი საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლობდა. მართალია, ფაკულტეტზე გოგონები არ იყვნენ, მაგრამ უნივერსიტეტის გარეთ ხომ იყვნენ?! არც ერთის მიმართ ასეთი ინტერესი არ გამოუჩენია. გაბედა და დაადგინა – ეს მარი კევლიშვილი იყო, გიორგიწმინდელი. ერთბაშად აამუშავა „ფრონტის ყველა ხაზი“ და უმოკლეს ხანში მარის დაუკავშირდა. საერთო მეგობრებ-ნაცნობებიც დაიხმარა და მარის მოულოდნელ სიურპრიზებსაც უწყობდა. თუმცა, ახლაც – ქორწინების შემდეგაც ასეა. თვითონაც ძალიან უხარია, როცა მარის ამ თავისი მოულოდნელი სიურპრიზებით ანცვიფრებს და ახარებს...

აპრილი სიყვარულის თვეა, ამ თვეს ჩიტები ერთმანეთს ირჩევენ და თავგამოდებით იწყობენ ბუდეებს. შეყვარებულმა წყვილმაც ეს თვე შეარჩია დასაქორწინებლად და 26 აპრილს ჯვარი წმ. სამების სახელობის ტაძარში დაიწერეს. იქაც უფალი შეეწიათ და ჯვარი საგარეჯოელმა, წმინდა სამების ტაძრის მოძღვარმა მღვდელმა ექვთიმე შიოშვილმა დასწერათ. თუმცა, ირაკლიც და მარიც ეკლესიურები არიან, საგარეჯოსა და გიორგიწმინდაში ჰყავთ თავიანთი მოძღვრები, მაგრამ ლურჯი აპრილის სილამაზის შეგრძნებას თბილისის ფონიც შემატეს და ხელიც თბილისში მოაწერეს.

ქორწილი კი საგარეჯოში გადაიხადეს – ნათესავების, მეგობრების, ახლობლების თანდასწრებით კიდევ ერთხელ დადეს ერთგულების ფიცი. ერთგულების, ოჯახის სიწმინდის ნათელი მაგალითი კი ირაკლის ნამდვილად აქვს – მისი მშობლების – სოსოს და ნატოს მაგალითზე – თავიანთი დაუღალავი შრომით რომ შექმნეს ყველაფერი, დაუსახლებელი მიწის ნაკვეთი წალკოტად აქციეს, სახლი გააწყვეს და შრომის პარალელურად არასოდეს აურიდებიათ თავი გაჭირვებულის, უმწეოს გაჭირვებისა და დახმარებიასთვის, ნათესავ-მეგობრების გვერდში დგომისათვის. სიხარულით და გაგებით შეხვდნენ ირაკლის და მარის სიყვარულს, მთელი სულით და გულით გაიხარეს - რა სჯობს სიყვარულით შექმნილ, მშობლების მიერ ნაკურთხ ქორწინებასო და ყველანაირად გვერდში დაუდგნენ მათი სიყვარულის გამართლებას...



დიახ, ასე ინება უფალმა, ირაკლის თავისი პირველი ნახევარი სცენაზე, ქართულ ეროვნულ სამოსში დაანახვა.

ქორწილამდე ორიოდე თვით ადრე ირაკლი კონკურსში გასვლის შემდეგ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მთავარ სპეციალისტად დაიწყო მუშაობა ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, მარი თბილისის სუხიშვილების სახელობის სასწავლებლის სტუდენტია....

***ვულოცავთ ირაკლისა და მარის ოჯახის შექმნას, აკვანთა სიმრავლეს, ოჯახურ სიმტკიცეს, ერთგულებას და გაუხუნარ სიყვარულს ვუსურვებთ.***

# ოჯახის სიწმინდე – ქვეყნისა და ერის დიდების საძირკველი

> **„ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს; აქ ხდება ეგოისტური „მესგან“ სრული დაცლა, რადგან ერთი პიროვნება მთლიანად უძღვნის თავს მეორეს,. ისინი სიყვარულით ერთდებიან ქრისტეში, რათა ერთად იზრუნონ ცხონებისათვის. დიდი ბედნიერებაა ოჯახის შექმნა სიყვარულით. მთავარი ამ მადლის სენარჩუნებაა“.**
>
> *ილია II*
>
> **სწორედ ამ ცხონებისა და მადლის შენარჩუნებაზე გვესაუბრებიან დღეს ჩვენი რესპოდენტები:**

**„მრავალთა გამოცდილებიდან აშკარაა, რომ ისინი, ვინც ვნების გამო ქორწინდებიან, ბედნიერებას ვერ ჰპოვებენ; ვნებანი ჩაცხრებიან, სიყვარული დაიკარგება... არჩევანი გონებით, ღვთისმოსაური განზრახვებით და უფლისადმი ლოცვით უნდა გავაკეთოთ, რათა ცხოვრება ოჯახური ბედნიერებით, მშვიდობით, თანხმობით, სიყვარულითა და საზოგადოებისათვისაც სასარგებლოდ განვლოთ“, – ოპტელი ბერი.**

**არჩილ ჯაბადარი** – *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:*



– ვნების გამო არც კაცმა და არც ქალმა ოჯახი არ უნდა შექმნას. ზოგიერთს შეიძლება არც ესმოდეს, რას ნიშნავს ოჯახის შექმნა და რას ნიშნავს უბრალოდ ინტერესი მოპირდაპირე სქესის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ვნებას აყოლილი ადამიანი გრძნობებში ვერ ერკვევა, შეიძლება შემთხვევითი კავშირი მან ქორწინებამდე მიიყვანოს, რომელსაც სათუთი და მგრძნობიარე გრძნობა – სიყვარული არ ახლდეს. ასეთმა ქორწინებამ კი, თუ მას პატივისცემა, ურთიერთგაგება და სიყვარული არ მოჰყვა, განწირულია. ირღვევა ოჯახი და თუ ბავშვებიც არიან იმ ოჯახში, უფრო დიდი ტრაგედიაა ასეთი შემთხვევა. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენი, ქართველების მენტალიტეტიდან გამომდინარე, როცა მიგვაჩნია, – ოჯახი მყარ ნიადაგზე უნდა იდგეს, ადამიანმა ოჯახის შექმნისას არჩევანი გონებით უნდა გააკეთოს. დამეთანხმებით, სიყვარული ადრე თუ გვიან ნელდება ყოველდღიური საზრუნავიდან და ამასთან, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეც ადამიანი იღლება. სწორედ ამ დროს გვჭირდება გონიერება, უფლის მიმართ ლოცვა, რომ ოჯახი შენარჩუნდეს. მაგრამ, აქვე მინდა გითხრათ, რომ შეიძლება არ გაქრეს სიყვარული, მაგრამ თუ განელებულ სიყვარულთან ერთად წყვილს ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობა, ოჯახის სიწმინდის, ერთგულების გრძნობაც არ აქვს, მაშინ ადვილი შესაძლებელია ოჯახი დაინგრეს. თითოეული ქართული ოჯახი კი, მოგეხსენებათ, ქვაკუთხედია ქვეყნის ძლიერებისთვის, ჩვენი ტრადიციების გაგრძელებისა და პატივისცემისათვის.

ღმერთმა ინებოს, რომ ქართულ ოჯახს სიყვარული და სიმტკიცე ჰქონდეს ლიბოდ და საძირკვლად. ნუ მოგვიშალოს ქართველებს ოჯახის ერთგულების, შენარჩუნების ძალა. როცა ოჯახი იქმნება, ჩვენ ჩვენს ადამიანურ მოვალეობას ვიხდით ბუნების წინაშე – ვაგრძელებთ სიცოცხლეს დედამიწაზე, სამყაროში ჩვენს მიერ მოვლენილი შვილებით, რომლებსაც გაზრდა და აღზრდა სჭირდებათ ქრისტიანებად, ქართველებად. ყოველივე ზნეკეთილს, ტრადიციულს, ამაღლებულს კი ადამიანს დედ-მამა, მტკიცე ოჯახი აძლევს. ასეთი ოჯახები სჭირდება საქართველოს – მამულის, ენის, სარწმუნოების გადასარჩენად.

***

**„კურთხევა მამისა შვილთა სახლებს განამტკიცებს, წყევლა დედისა კი საძირკვლითურთ აღმოფხვრის“ (ზირაქი 3,9), გვეუბნება ზირაქის სიბრძნე.**

**ჯვრისწერის განგებულებაში, რომლითაც ეკლესია ნეფე-დედოფალზე ლოცულობს, წერია: „მოიხსენე, ღმერთო, გამზრდელნი ამათნი და მშობელნი, რამეთუ ლოცვითა მშობელთათა დამტკიცდების საფუძველი სახლთა“.**

სწორედ მშობელთა კურთხევით შექმნეს ოჯახი კაკაბელმა **სოსო ბაღდადაშვილმა** და **სონიკო მჭედლიშვილმა**. მათი ოჯახის შექმნა ვაჟის ოჯახიდან მოწონებით დაიწყო. სოსოს მამა – გოგია მშრომელი, ცხოვრების ალღოიანი კაცი იყო და კარგად იცოდა, სოფელში ვისი გაზრდილი შვილიც „გამოადგებოდა“ მის ოჯახს. სონიკო მაშინ ტექნიკუმში საბუღალტროზე სწავლობდა, სოსო უკვე რაიკავშირში მუშაობდა.

– მამაჩემი სოფელში პარიკმახერად მუშაობდა, კარგად იცნობდა სოფლის ახალგაზრდობასაც და თავის წინა თაობასაც. როცა ბაღდადაშვილების აზრი და სურვილი გაიგო, მხოლოდ ის მითხრა: – შვილო, შეიძლება მათ ოჯახზე მდიდარ ოჯახში შეხვიდე რძლად (მაშინაც ბაღდადაშვილების ოჯახი ერთ-ერთ ძლიერ ოჯახად ითვლებოდა კაკაბეთში), მაგრამ სოსოსნაირ მუყაით, მშრომელ, დაუზარელ ადამიანს ვერ შეხვდები. მხოლოდ მას შეიძლება უყვარდეს ცოლ-შვილი ისე, როგორც საჭიროა და ისე უერთგულოს, როგორც ქართულ, ტრადიციულ ოჯახს ეკუთვნისო, – მეუბნება სონიკო, – ისე, რომ კურთხევა ოჯახის შექმნისა, ორივეს მშობლებიდან წამოვიდა. ჩვენ ერთმანეთს ისე, შორიდან ვიცნობდით, როგორც ერთ სოფელში დაბადებულებმა და გაზრდილებმა. ორივე ძირძველი ტრადიციების მოყვარულ ოჯახში გავიზარდეთ. ისეთ ოჯახებში, სადაც კაცი კაცია – შემომტანი და ქალი ქალია – ქმრის მიერ შემოტანილის მომვლელი, გონივრულად განმკარგულებელი. იმ ოჯახებში, სადაც ქალს მამაკაცის მიმართ დიდი პატივისცემა და რიდი აქვს და კაცს ქალის მიმართ პატივისცემა, ოჯახის მიმართ ერთგულება. მე, ორი ძმის ერთადერთი და ვარ, სოსოს სამი და ჰყავს. ჩვენი ოჯახის შექმნიდან ისეთი ურთიერთობა დამყარდა ორ ოჯახს შორის, როგორც ახლობლებს და თითქმის სისხლით ნათესავებს შორის არის – ჩვენი და-ძმები შვილებად მიიღო ორივე მხარემ. თავდაპირველად ურთიერთპატივისცემა იყო ჩვენს შორის, რომელიც დღესაც გრძელდება, შემდეგ ურთიერთგაგება, ერთმანეთზე მზრუნველობა სიყვარულში გადაიზარდა, ორი ვაჟის ამქვეყნად მოვლინებამ ოჯახი უფრო განამტკიცა, ჭერი ამაღლდა.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა. მშობლებიდან მხოლოდ დედაჩემიღაა, ვინც ჩვენი ოჯახური ბედნიერებით ხარობს. ჩვენ კი, ჩვენი მშობლებისგან დალოცვილები, მათგან დამოძღვრილები ვცდილობთ ისე მოვუფრთხილდეთ ჩვენს ოჯახს, როგორც ჩვენი წინაპრები უფრთხილდებოდნენ: სტუმარს გულუხვად დავხვდეთ, გაჭირვებულს დავეხმაროთ, სნეული მოვიკითხოთ, ჭირსა და ლხინში გვერდში დავუდგეთ ყველას. ვშრომობთ და ჩვენი შრომის ნაყოფით ვხარობთ და უამრავ სტუმარს ხელგაშლილი ვხვდებით. ტრადიცია კვლავაც გრძელდება: ჩემი მეუღლე დიდი სიყვარულით უვლის ვაზს, საქონელს, მე საოჯახო საქმეებს, ჩვენი შვილები მუშაობენ და ახლა ისინი ფიქრობენ ოჯახის შექმნას, ოღონდ ისეთივესი, როგორიც მათ მშობლებს, მათ პაპა-ბებიებს და კიდევ მათ წინა თაობებს ჰქონდათ – ტრადიციული, ქართული და მართლმადიდებლური. ასეა, ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და აქ არის ჩვენი ფესვები. სხვანაირად არც შეიძლება...

***

**ამბობენ,** გარიგებით შექმნილი ოჯახი უფრო მტკიცე და ურყევი ხდებაო. თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩნდება პატივისცემა, სიყვარული, ურთიერთგაგება. ერთ ასე შექმნილ ოჯახზე გიამბობთ ახლა, რომელიც ჩვენთვის მისაბაძი გამხდარა – აშკარაა, რომ კაცი „თავია ოჯახისა“, – „ქალი კისერი“.

**ახლო** ნათესავთან გაიცნეს ერთმანეთი. ისე გამოვიდა, ის ახლობელი შუამავალიც აღმოჩნდა და მეხუთე კურსზე იყვნენ, როცა ოჯახი შექმნეს. მას შემდეგ 35 წელი გავიდა. შეუღლებიდან ერთი წლის თავზე პირველი სიხარული – ნატალია დაიბადა. სწორედ მაშინ გადმოვიდნენ გურჯაანიდან პატარძეულში სამუშაოდ და საცხოვრებლად ვეტექიმი ალექსანდრე მაზანაშვილი და ექიმი-პედიატრი მაგული ტორიაშვილი. სოფელმა შეიყვარა ახალგაზრდა ოჯახი. მათი პროფესიიდან გამომდინარე, მალე გაიცნეს სოფელში მცხოვრები თითქმის ყველა ოჯახი. მაგული ექიმის თვალწინ იზრდებოდნენ აქაური ბავშვები, ნელ-ნელა გაჩნდა სიმპათიები, ურთიერთნდობა სოფელსა და მათ შორის და ერთ ხანს

> **„ნამდვილი სიყვარული – მსხვერპლად შეწირული სიყვარულია, ისეთივე მსხვერპლშეწირული, როგორც მაცხოვარმა დაგვანახა ჯვარზე ასვლით“...**

*დასასრული მე-6 გვერდზე*

# ოჯახის სიწმინდე — ქვეყნისა და ერის დიდების საძირკველი

დასასრული

ალექსანდრე სოფელ პატარძეულის საბჭოს თავმჯდომარეც იყო.

ნატალიას მაკა მოჰყვა, მაკას ამ ოცდახუთი წლის წინ დათო. სამივე მაზანაშვილი პატარძეულელ თაობებთან ერთად გაიზარდნენ, დაფრთიანდნენ, ნატამ და მაკამ ოჯახებიც შექმნეს. ნატა დღეს თეთრწყაროში ცხოვრობს მეუღლესთან და ორ შვილთან — ბაჩო და ანა ხაბულიანებთან ერთად და იქაური აფთიაქის მენეჯერია. მაკა თბილისშია ოჯახთან ერთად და თბილისის სამკურნალო დაწესებულების (ე.წ. „ლეჩკომბინატის“) ექიმია. დათო მშობლებთან ერთადაა პატარძეულში და საგარეჯოში არსებულ ბანკ „ფინკას“ თანამშრომელია.

დღეს ალექსანდრე და მაგული მათთვის ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობენ. ქ-ნი მაგული პატარძეულის საექიმო ამბულატორიის ოჯახის ექიმია, ბ-ნი ალექსანდრე ახლა უკვე კერძო საქმიანობას ეწევა. ყოველი შაბათ-კვირა კი ლოცვა-წირვისთვის აქვთ თავიანთ „ცხოვრების დღის რეჟიმში“. მათი მოძღვარი გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მღვდელი გიორგი პავლოვია. ეკლესიის მრევლი კი მათთვის იგივე თავიანთი ოჯახის წევრები არიან, თავად გულისხმიერი, კონტაქტური და ყურადღებიანები არიან, თუმცა, ამასთან ქ-ნი მაგული მორიდებული და მოკრძალებულია ყველას მიმართ. აქ, ამ შემთხვევაში არ აქვს ასაკს მნიშვნელობა — დიდია ის თუ პატარა.

სასიამოვნოა მათთან საუბარი, რადგან მათ თითოეულ სიტყვასა და აზრში გამოსჭვივის ის დიდი გულშემატკივრობა საქართველოს, ყოველივე ქართულის და მართლმადიდებლობის, რომელიც სულის სიმტკიცით და იმავე სულის ტკივილითაა გაჯერებული. ამჯერად მათ ოჯახის სიმტკიცეზე, საერთოდ, ზოგადად ოჯახზე ვესაუბრე. როგორც ყოველთვის, ქ-ნი მაგული ამ შემთხვევაშიც, მეუღლეს უთმობს რესპოდენტობას, თვითონაც იქვე დგას მოკრძალებით და თითოეულ მის გამოხედვაში ვგრძნობ, როგორ ეთანხმება მეუღლეს გამოთქმულ ყოველ სიტყვასა და ფრაზაში.

— ოჯახის სიმტკიცე პირველ რიგში მეუღლეების ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზეა დაფუძნებული, — მეუბნება ბ-ნი ალექსანდრე, — ცხოვრებისეული სირთულეების დასაძლევად ერთობლივი აზრის ჩამოყალიბება, ერთად დაგეგმვა, თვით უმნიშვნელო პრობლემის მოსაგვარებლად ერთმანეთის აზრის გაზიარება ოჯახს უფრო მეტ სიმტკიცეს აძლევს, საძირკველი კი, როგორც გითხარით — სიყვარული, პატივისცემაა. ჩვენი, ჩემი და მაგულის ოჯახიც ისეთივე ტრადიციულია, როგორც ყველა ჩვენი ნათესავის, ჩვენი წინაპრების. მოგეხსენებათ, ტრადიციული ოჯახი დიდი, მძლავრი და სანდო იარაღია ერის გადასარჩენად გლობალიზაციის პერიოდში. ეს იმ დროს, როცა



ჩვენს ერს თავს ახვევენ არაქართულს, არატრადიციულს, არარელიგიურს, როცა გადამთიელი, უისტორიო და უწარსულო ერები თავიანთი სურვილებისა და თავიანთებური ცხოვრების წესის დანერგვას გვთავაზობენ და ამას არადელიკატურად ცდილობენ. ამით მათ სურთ გაამართლონ თავიანთი აღვირახსნილი, არაადამიანური საქციელი, რომელსაც ჰუმანურობას და ტოლერანტობას უწოდებენ, რაც, მოგეხსენებათ, შეპარული, შეფერადებული, ფასადური სიტყვებია და სხვა არაფერი. მათ ამით უნდათ ერის გახრწნა, რაც ქართველისთვის მიუღებელია. მათ უნდათ წაშალონ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა. ეს სპეციალურადდაა შემუშავებული, რადგან მოგეხსენებათ, რომ სოფელი წარმოადგენს ქართველობის, ყოველივე ქართულის ძირს და ფუძეს და ქართველის ავტორიტეტს. ქალაქს თავისი დანიშნულება აქვს — ერის განათლების, კულტურისა და საერთოდ, ქალაქი ზრუნავს შემდგომი განვითარების სრულყოფაზე. მადლობა უფალს, რომ დღეს ჩვენ გვყავს ერის სულიერი მამა — მწყემსმთავარი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც ღირსეული ნაბიჯი გადადგა და 17 მაისი დააწესა ოჯახის სიწმინდის დღედ, რაც ჩვენთვის, ქართველებისათვის ნიშნავს ქართული, ტრადიციული ოჯახის შენახვის დღეს. უწმინდესი, როგორც ყოველთვის, ფიზიკური დაპირისპირების წინააღმდეგია და ეს ერთი დღე სიმბოლურად ჩასვა ტრადიციად, მშვიდობიან დღედ დაუპირისპირა იმ დღეს, რომელიც ე.წ. „ჰომოფილებს“ მსოფლიო დღესასწაულად ჰქონდათ კალენდარზე მონიშნული. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ჩვენი მოძღვრის დალოცვით, ქართული, მართლმადიდებლური წესებით თუ არ დავუპირისპირდით ყოველივე აღვირახსნილობას, ჩვენ მივიღებთ სოდომსა და გომორს, რომელიც ჩვენი ერისთვის და საერთოდაც, მიუღებელია. მოგეხსენებათ, ჩვენ, ქართველებს არ გვცალია მაგისთვის. ჩვენ სხვა მიმართულებით მივდივართ — ჩვენ ჩვენი დაუღალავი შრომით, გარჯით, ცხოვრების წესით, ლოცვით ველით საქართველოს სულიერ და მატერიალურ გაბრწყინებას, რასაც უთუოდ მოვესწრებით. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს საქართველოს, ყოველივე ქართულის ,მართლმადიდებლურის ქომაგი, გულშემატკივარი და დამცველი. ყველას ვუსურვებ ოჯახის სიმტკიცეს და ოჯახურ ბედნიერებას.

**„ჭეშმარიტი მეუღლეობა არის ერთობა არა იმდენად ხორცთა, რამდენადაც სულთა“.**

***

**ქორწინება არ არის ვაჭრობა, კომერციული გარიგება, მხოლოდ პრაქტიკული განზრახვითა თუ გეგმით, ანდა რაიმე მატერიალური მოგების მისაღებად, არამედ კავშირი ცხოვრებისა... ვინც მდიდარი ცოლი შეირთო, მან უფრო ქალბატონი შეიძინა, ვიდრე ცოლი. თუ ცოლები უამისოდაც აღსავსენი არიან ამპარტავნებით და მიდრეკილნი — პატივმოყვარეობისაკენ, როდესაც მათ ესეც ემატებათ, როგორი გასაძლები იქნებიან მეუღლეებისთვის? ხოლო ვინც შეირთო ცოლი, რომელიც მისი თანასწორია, ანდა უფრო ღარიბი, შეიძინა დამხმარე და შემწე, შეიტანა ოჯახში ყველა სიკეთე, რადგან სიღარიბე ქალს იმისთვის განაწყობს, რომ გაუფრთხილდეს თავის ქმარს, ყველაფერში დაუჯეროს მას და დაემორჩილოს, მოსპოს ყველანაირი საბაბი უთანხმოებისა, მტრობისა, სიამაყისა, შეურაცხყოფისა და საპირისპიროდ ერთსულოვნების, მშვიდობის, სიყვარულის და თანხმობის კავშირად აქციოს ქორწინება. ვინც ფულის გამო ირთავს მდიდარ ცოლს, ის ხშირად კარგავს მთავარს — მშვიდობას, თანხმობას, ერთსულოვნებას“** — *გვეუბნება IV საუკუნიდან წმინდა* **იოანე ოქროპირი.**

<u>**ჯაბუკა ჯანტურია**</u> — ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე:***

— დიახ,როგორც იოანე ოქროპირი აღნიშნავს, „ვინც ფულის გამო ირთავს მდიდარ ცოლს, ის ხშირად კარგავს მთავარს — მშვიდობას, თანხმობას, ერთსულოვნებას“. ამ სიტყვებში გაცხადებულია დიდი ჭეშმარიტება, რომ ქრისტესმიერი სიყვარული, ანუ სულთა თანაზიარება ანგარებით შეუძლებელია. თუმცა წარსულში და დღესაც ხშირად ქორწინების საფუძველი ანგარება იყო და არის. ღარიბი ოჯახისშვილი ვაჟი ხშირად დიდი მზითევის ფასად გარიგებით ირთავს მდიდარ ქალს და პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ასეთი ოჯახები ერთი შეხედვით „უფრო მყარი“ გახლდათ, ასეთ ქორწინებას საფუძვლად არ ედო ის მარადიული გრძნობა, რაზედაც იოანე ოქროპირი მიუთითებს და რაც წმინდა წერილშია განმარტებული.



***„ვინაიდან ქრისტეს სხეულის ასოები ვართ, მისი ხორცთაგანი და მისი ძვალთაგანი, ამიტომ მიატოვებს კაცი მამას თვისას და დედას და შეერთვის თავის ცოლს და იქმნებიან ორივენი ერთ ხორც. ასევე, თითოეულ თქვენგანსაც უყვარდეს ცოლი თვისი, ხოლო ცოლს ეშინოდეს თავისი ქმრისა“-ო.***

ასე განმარტავს ცოლ-ქმრულ სიყვარულს წმინდა პავლე მოციქული წერილში ეფესელთა მიმართ: ***„ქმარი არის ოჯახის უფროსი არა იმიტომ,რომ მამაკაცია,არამედ იმიტომ, რომ ქრისტეს სახებაა. მის ცოლსაც და შვილსაც შეუძლიათ დაინახონ მასში ეს სახება. მამაკაცმა მხოლოდ იმიტომ,რომ მამაკაცია,არ უნდა იფიქროს,რომ იგი უფლებამოსილია საკუთარ ცოლსა და შვილებზე. თუ ის არ არის ქრისტეს სახება, არავინ არ არის ვალდებული ჰქონდეს მისი რაიმე პატივისცემა, შიში ან მორჩილება. ხოლო ცოლი წარმოადგენს ხატს,ეკლესიის სახეს, რომელსაც ისეთივე თავგანწირული სიყვარული აქვს ქმრისა და ოჯახისადმი, როგორიც ამ უკანასკნელს. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, წმინდა წერილის ამ ნაწყვეტს განმარტავენ მცდარად, ცოლის დამცირებად და ქმრის განდიდებად. არადა, მორჩილება, ურთიერთმიძღვნა, თავგანწირვა, თუნდაც მსხვერპლად შეწირვა — უზენაესი სიყვარულია.***

***სამყაროში ყველა და ყველაფერი განცალკევებისკენ მიილტვის. ქორწინება არის მოვლენა, სადაც განხეთქილება თავდება და იწყება ერთობლივი ცხოვრების ხორცშესხმა, ანუ ორი პირი (ქალი და კაცი) ურთიერთსიყვარულით და ერთმანეთის ბოლომდე მიღებით, რაღაცით უფრო მეტი აღმოჩნდება, ვიდრე უბრალო წყვილი. ორი ადამიანი ერთ მთლიანად იქცევა. ერთ მთლიანად ქცევა კი მხოლოდ ერთმანეთის მსგავს, თანაზიარი სულის ნახევრებს შეუძლიათ, რომელთაც დაუოკებელი ლტოლვა აქვთ ერთმანეთისკენ და გამთლიანებისკენ. აი, ასეთნი დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს. წმინდა წერილის ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში ვკითხულობთ: „ქრისტეს ეკითხებიან „როდის მოვა ღვთის სასუფეველი?“ და ქრისტე პასუხობს: „ღვთის სასუფეველი უკვე მოსულია იქ, სადაც ორნი, ორნი კი არა ერთნი არიან“.***

ამიტომ არის ქორწინება ქრისტეს 12 საიდუმლოთაგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო და წმინდა მამები მას თავისი მნიშვნელობით ზიარებას უტოლებენ.

# სწავლაში წარმატებულნი

## ჩვენი მედალოსნები

**საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის დირექტორის მანანა ცუცქირიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების მიმდინარე სასწავლო წლის კურსდამთავრებულთაგან 22 კურსდამთავრებული დაჯილდოვდა ოქროსა და ვერცხლის სინჯის მედლებით. მათგან **ოქროს სინჯის მედლებით:**

**ნინო გილაშვილი, მარიამ ესაიაშვილი** (ორივე საგარეჯოს I საჯარო სკოლა),

**ლანა დრეიძე, თინათინ ჯაჭუკაშვილი, ანა თათრიშვილი** (საგარეჯოს II საჯარო სკოლა);

**მარიამ ზირაქაშვილი** (საგარეჯოს IV საჯარო სკოლა);

**იმედა ბუჟღულაშვილი** (ნინოწმინდის საჯარო სკოლა);

**ნათია შენგელიძე, სალომე შენგელიძე** (ყანდაურის საჯარო სკოლა);

**გვანცა გიუნაშვილი, მადონა გიუნაშვილი** (პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი);

**ვერცხლის სინჯის მედლებით:**

**ანანო ელერდაშვილი, გიორგი ასთაშვიშვილი, თამარ ივანელაშვილი, მაგდა საგინაშვილი, ვალერი მეხაშიშვილი, ანი თევდორაშვილი** (საგარეჯოს II საჯარო სკოლა);

**ხატია მეკოკიშვილი, ზაქრო თარიმანაშვილი** (საგარეჯოს IV საჯარო სკოლა);

**თათია ნანუაშვილი** (ბოგდანოვკის საჯარო სკოლა);

**თათია ბრატიაშვილი** (ნინოწმინდის საჯარო სკოლა);

**სოფიკო კოზმანაშვილი** (ყანდაურის საჯარო სკოლა).

## ქვეყნის სამსახურში ვიქნები



**მე** ვარ **ნინო ბორაშვილი** — მანავის საჯარო სკოლის XI კლასის წარჩინებული მოსწავლე, მომავალი ოქროს მედალოსანი. ბოლო წლებია, რაც აქტიურ მონაწილეობას ვიღებ ბევრ საინტერესო პროექტში. ჩემი დიდი სურვილია ვიყო აქტიური. არ ვტოვებ არც ერთ სასკოლო ოლიმპიადას. ვთანამშრომლობ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის low-თან. low არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც აფინანსებს ამერიკისა და კანადის საელჩოები. ამ ორგანიზაციასთან დიდი ხანია ვთანამშრომლობ და წელს მომეცა შესაძლებლობა გავმხდარიყავი მათი ერთ-ერთი ელჩი. ამჟამად ვარ pin-ის ერთ-ერთი პროექტის (ახალგაზრდული კომიტეტის) აქტიური წევრი. ჩვენი მიზანია საგარეჯოს რაიონში ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლა და მათი შეძლებისდაგვარად მოგვარება.

ვარ ჩემს სკოლაში არსებული ეკო კლუბისა და თვითმმართველობის თავმჯდომარე.

ჩემი მიზანია თანატოლების გააქტიურება, რადგან „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის სიცოცხლისა და ღონის მიმცემი“, მხოლოდ განათლებულ მოსახლეობას შეუძლია ჩვენი ქვეყნის განვითარება და წინსვლა.

## „ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“
# სწავლაში წარმატებულნი

## სამი მეგობარი

**ისინი** ნინოწმინდის საჯარო სკოლის მეათეკლასელები არიან. დროის უმეტეს ნაწილს, დღის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს ერთად ატარებენ. მათთვის არ არსებობს დასვენების დღეები, გაკვეთილების შემდგომ პერიოდშიც ერთად არიან, გულშემატკივრობენ ერთმანეთს, ერთად არკვევენ ყველა იმ საკითხს, რომელიც მათი ასაკის ბიჭებისთვის საინტერესოა. სამივე ერთად და ცალკ-ცალკე საინტერესო ადამიანებს წარმოადგენენ. თავიანთი ოცნებებით, მოქმედებით, ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე ინტერესებით აქტიურად არიან ჩაბმული სასკოლო ცხოვრებაში. აი, ისინიც:

**ლუკა გორგილაძე** – საინტერესო პიროვნებაა. დიახ, პიროვნება, რომელთანაც სასიამოვნოა საუბარი.



ინტერესით გვისმენს და პასუხიც ჩამოყალიბებული, გააზრებული აქვს. სკოლაში კარგად სწავლობს და სწავლობს არა იმიტომ, რომ მიიღოს 10 ქულა, შეაქოს მასწავლებელმა და მშობელმა იამაყოს მისით, სწავლობს – რათა შემდგომში, ზრდადასრულებული, ჩამოყალიბებული, განათლებული და ერუდირებული პიროვნება აქტიურად ჩაერთოს იმ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც საქართველოს სიკეთეს მოუტანს. ემსახუროს სამშობლოს და მხრებით სწიოს ის ტვირთი, რაც მის თაობას სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაევალება. მეცხრე კლასი ლუკამ წარმატებით დაამთავრა. მაღალ შეფასებებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა მათემატიკის, ინგლისურის, ქართულის, ბიოლოგიის ტურებში. სწორედ ამ წარმატებებისათვის ჯილდოდ მან ლეპტოპი დაიმსახურა. ასევე, წარმატებები აქვს ცურვაში, ფეხბურთში, ცეკვაში, კარატეში. ლუკას სულ რამდენიმე შეკითხვა დავუსვით, უბრალოდ, როგორ შეიძლება მისი ასაკის მოზარდმა მიაღწიოს დღესაც და შემდგომშიც წარმატებებს, რა არის საჭირო ამისათვის?! აი, მისი პასუხიც:

– **პირველ** რიგში აუცილებლად მიიღეთ გადაწყვეტილება, რა ცვლილებების შეტანა გსურთ საკუთარ ცხოვრებაში. დაფიქრდით თუ რა განიჭებთ სიამოვნებას, რა მოგწონთ, რის მიმართ გაქვთ ინტერესი. ეს არის პირველი ნაბიჯები საკუთარი თავის შესწავლის. მას შემდეგ, რაც გააცნობიერებთ საკუთარ თავს, შესაძლებლობებს, დამოკიდებულებებს და სურვილებს, გადადით შემდეგ ეტაპზე ...

ჩემთვის უკვე ძალიან ბანალური და გაცვეთილი ფრაზებია: “თუ გსურთ იყოთ ჭკვიანი, იკითხეთ ბევრი,” “თუ გინდა იყო წარმატებული, უნდა იყო განათლებული, განათლებისათვის კი საჭიროა კითხვა” და ასე შემდეგ. ბევრისგან გექნებათ ახლა თუ არა, ადრე მაინც მოსმენილი, რა თქმა უნდა, ეს ასეა. თუმცა ეს საკითხები მხოლოდ შემადგენელი კომპონენტებია წარმატების მისაღწევად.

მოდით, მარტივად წარმოვიდგინოთ, შეუძლებელია, რომ ყველაფრის დასკვნამდე მიხვიდეთ თქვენ თვითონ. ველოსიპედების გამოგონების ხელახლა დაწყება და დროის უბრალოდ კარგვა იქნება კრახი. არსებობდნენ ისტორიის მანძილზე ადამიანები, ვისაც თქვენნაირი პრობლემები აწუხებდათ და თქვენნაირი ინტერესები გააჩნდათ.

მოდით, გავეცნოთ ჯერ მათ ნაფიქრს და მას შემდეგ, როდესაც დასკვნას გამოვიტანთ, დავამატოთ მას საკუთარი მოსაზრებები. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია.

კითხვა აუცილებელია ... კითხვისას თქვენ აუცილებლად გამოგიჩნდებათ დამატებითი ინტერესები, ასევე ბევრი ისეთი პრობლემის გადაწყვეტაზე შეძლებთ პასუხის გაგებას, რისი გადაჭრაც ადრე წარმოუდგენელი გეგონათ. განსაკუთრებით იკითხეთ წარმატებული ადამიანების ბიოგრაფიები, თუ როგორ შეძლეს მათ საკუთარი ჩანაფიქრების რეალიზება.

წარმატებისათვის აუცილებელია დაივიწყოთ შური და ამგვარი საკითხები. უნდა გაგაჩნდეთ ჯანსაღი კონკურენციის უნარი... სხვისი წარმატების არ უნდა შეგშურდეთ, პირიქით, ეს პროცესი სამაგალითოდ უნდა აქციოთ და მოტივაციის ასამაღლებლად გამოიყენოთ.

და ბოლოს, არაფერია შეუძლებელი ... ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია რასაც ჩაიფიქრებთ და დაგეგმავთ. მთავარია, განავითაროთ საჭირო უნარები და თვისებები.

დაუსვით კითხვა საკუთარ თავს: თუ შეძლო სხვამ, რატომ ვერ შეძლებთ თქვენ? გგონიათ მან მარტივად მოახერხა? არა, ყველას სჭირდება სწორი გეგმა და შემდეგ ნებისყოფა, თუ როგორ მიაღწიოს დასახულ მიზანს. იყავით შრომისმოყვარენი და ყველაფერი გამოგივათ!

დიახ, ლუკასაც და მის თანატოლებს და არა მარტო მის თანატოლებს, ყველა თაობას სჭირდება შრომისმოყვარეობის გამოვლენა.



სწორედ შრომისმოყვარეობით აღწევს მისი თანაკლასელი **გუგა მღებრიშვილი** წარმატებებს ჭიდაობაში. სულ ახლახანს, გორში გამართულ ტურნირში გუგამ 60 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. გუგას მწვრთნელი მამუკა მათიაშვილია, რომელიც დიდ იმედებს ამყარებს მის მომავალზე.

გუგამ ჭიდაობა ძიუდოში ვარჯიში 9 წლიდან მამუკასთან დაიწყო. იმ დროიდანვე ინტერესით და პასუხისმგებლობით მოეკიდა გუგა ჭიდაობას. თუ არა შრომისმოყვარეობა, მას ის წარმატებები არ ექნებოდა, რასაც ის ბოლო პერიოდში აღწევს. დღესაც საამაყოდ აქვს 2012 წლის საქართველოს პირველობაზე ჩატარებულ შეჯიბრში პირველი ადგილის აღება. მაშინ გუგა 38 კგ. წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას. შემდეგ კი აღარ თმობდა პირველ ადგილს არც რაიონის, არც რეგიონულ და არც სახელობის ტურნირებში. ის იყო უნგრეთშიც, სადაც მესამე ადგილი დაიკავა. აი, ანტალიაში კი მეშვიდე ადგილი აიღო და თავისი თავით დღესაც უკმაყოფილოა. თუმცა, ყველაფერი ჯერ წინ არის... როცა სპორტულ დარბაზში ტატამზე გამოდის, იცის, რომ მის გულშემატკივართა შორის პირველ რიგში ლუკა გორგილაძე და გიორგი გიორგაძე არიან, რაც ბრძოლის ჟინს უასკეცებს და თავის გამარჯვებებსაც მათ მეგობრობას, მათთან ურთიერთობას უძღვნის. ..

**გიორგი გიორგაძე** - მათი თანაკლასელი და წარმატებული მოსწავლეა.



გიორგიმ კარგად იცის, რომ სკოლაში, რომელშიც ის სწავლობს, მისი დიდი ბებია ანჟელა მღებრიშვილი დირექტორი იყო, ახლაც ახსოვს მისი ავტორიტეტი. მართალია, ეს ხმამაღლა არასოდეს გამოუთქვამს, მაგრამ უბრალოდ, მისთვის გაუგებარი იქნებოდა, რატომ არ უნდა ისწავლოს კარგად და სკოლის კედლებში რატომ არ უნდა აითვისოს ის, რაც მისი და მისი თაობის შემდგომი წარმატებებისათვის გარანტი იქნება?!

---

### სპორტი

### ძიუ-დო
## გორის საერთაშორისო ტურნირზე

**მაისის** ბოლოს ქ. გორში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუ-დოში 2000-2003 და 2004-2005 წლიან ჭაბუკებს შორის. ასპარეზობაში საქართველოს სხვა ფალავნებთან ერთად თავიანთი ძალების მოსასინჯად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭიდავები. მათგან 2000-2003 წლიანთა შეჯიბრებაში 55 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა **ნიკა ბასილაშვილმა**, რომელიც ერთადერთი ჩემპიონი აღმოჩნდა ამ ტურნირში მონაწილე საგარეჯოელთაგან.

**მირიან კურდღელაშვილი** მეორე ადგილზე გავიდა 36 კგ წონით კატეგორიაში, ხოლო **ნოდარ ქურხულმა** (46 კგ) და **რონი ყორდანაშვილმა** (50კგ) მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

უმცროს, 2004-2005 წლიანთა ასაკში მოასპარეზე საგარეჯოელთაგან მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს **ლევან ღრეულმა** (27კგ) და **გიორგი რევაზიშვილმა** (30კგ). მესამე ადგილებზე გავიდნენ **შოთიკო ბაჩოშვილი** (24კგ), **თენგო მაისაშვილი** (30კგ), **გიორგი დურგლიშვილი** (38კგ) და **სანდრო სონიშვილი**) მძიმე წონა.

---

### ჩვენი წარსული
## ხალხს მონატრებული ნასოფლარი
### თარაქი

**თარაქი** იმ ნასოფლარს წარმოადგენს, რომელიც დღემდე ამაყობს გარს შემორტყმული ბუნებით, მთის უნიკალური ჰაერით და ცივი წყლებით, არ შემიძლია გვერდით გულგრილად ჩავუარო ჩემს სათაყვანო ნასოფლარს, რომელსაც ამბების ამოუწურავი ქისა მუდამ თან დაჰქონდა, კალამი კი არა. შენდა გასახსენებლად მინდა ფრინველების საამო ჟღურტულმა მომაგონოს შენი წარსული, შენს ლამაზ ბუნებაში დასახლებული ადამიანები მშვიდად და უდრტვინველად ცხოვრობდნენ. ამ პატარა კუთხეში მოწყენა არ შეიძლებოდა, რადგან შრომით რომ დაიღლებოდნენ, თვითნასწავლი მუსიკის ჰანგებით ტკბებოდნენ. ხალხს მონატრებულმა ნასოფლარმა ფიქრით დაღლილმა, უკანასკნელი ფიქრიც უკუაგდო, ამ გაზაფხულზე ახლადგამოღვიძებული ბუნება სიახლეებს შეეგება – აქაურობას ადამიანებმა მოაკითხეს.

მის ნაყოფიერ მიწას კიდევ შემორჩენია ხალხის მოზიდვის უნარი, მის მადლიან მიწაზე დაიდგა ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილი. ისევ გაჩნდა ხალხმრავლობა. ნასოფლარმა ცრემლები შეიმშრალა, გაციებული ფესვები გაითბო, იმედი ჩაისახა – მომავლისათვის უფრო მეტ ხალხმრავლობას ელის. ჩვენ ხომ იმედის მომავლით ვცოცხლობთ. როგორც გავიგეთ ამ პატარა კუთხის მადლიანმა მიწამ ადამიანებს კიდევ შეახსენა თავისი არსებობა. მე, როგორც ამ სოფელში დაბადებული და აღზრდილი, თუ კიდევ ვიხილავდი შრომისმოყვარე, მოფუსფუსე ხალხს, აღარ მეგონა. სიხარულმა ხელში კალამი ამაღებინა და



კიდევ შემახსენა ჩემი პატარა სოფლის წარსული.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ მანავის ჩრდილოეთით, ცივ-გომბორის მთების ძირას მდებარეობდა პატარა სოფელი თარაქი. თარაქს მეტად საინტერესო ისტორია აქვს. ნასოფლარის მიდამოებში უხვად გაბნეული ისტორიული ძეგლები ადასტურებს თარაქის სიძველეს. აქ არსებული ძეგლებიდან აღსანიშნავია მანავის ციხის ფრიალო კლდეებზე გაშენებული უზარმაზარი ციხის ნაშთები, რომელსაც ხალხი „ქალის ციხეს“ უწოდებს. აქვეა X საუკუნის საუცხოო ძეგლი წმინდა გიორგი „ვედრებელა“ და „თელეთის“ ეკლესიები. ათიოდე საყდარი, უამრავი ნასახლარი, ნადარბაზევი, აკლდამა-სამარხი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც თარაქი ქალაქის ტიპის დასახლება ყოფილა.

ხალხის ხსოვნით და ისტორიული საბუთებით, თარაქი საუკუნეების მანძილზე მეფეთა საგაზაფხულო აგარაკს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის დასაწყისში კახეთის სამეფოში შეიქმნა არეულობა, ისე მოიშალა ქვეყნის ცხოვრება, რომ სამეფო ოჯახებს მოეშალათ მუდმივი საცხოვრებელი, ამიტომ სატახტო რეზიდენცია მანავში იქნა გადმოტანილი.

1709 წელს გარდაიცვალა ერეკლე I (ნაზარალიხანი) და ირანის შაჰმა კახეთის მმართველად მისი უფროსი შვილი დავით იმან ყული ხანი გაგზავნა, რომელმაც სამეფო რეზიდენციად უფრო მყუდრო ადგილი – მანავი და თარაქი აირჩია. მალე დავით ყული ხანი კვლავ ირანში გაიწვიეს და კახეთის პატრონობა მცირეწლოვან თეიმურაზს და დედამისს – დედოფალ ანას ჩააბარეს, რომელიც დროს უმეტესწილად თარაქის სასახლეში ატარებდა. თარაქის მიდამოებში აიდგა ფეხი პატარა კახმა (ერეკლემ). ლეკთა გამუდმებული თარეშის გამო, როგორც მანავი, ისე თარაქი ისე გაუკაცრიელდა, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში იქ კაციშვილი აღარ ჭაჭანებდა. დროთა განმავლობაში კვლავ აღორძინდა მანავი, ხოლო თარაქში სხვადასხვა კუთხიდან იწყეს ჩამოსახლება. ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე თარაქში ცხოვრობდა 51 კომლი. აქ უცხოვრიათ წიკლაურებს, გიგაურებს, ზაქაიძეებს, აფციაურებს, გოგოლაურებს, მიგრიაულებს, რცხილაძეებს და სხვა გვარებს. თარაქს ჰქონდა დაწყებითი სკოლა, საბებიო-საფერშლო პუნქტი, ბიბლიოთეკა. 1951 წლამდე ფუნქციონირებდა კოლმეურნეობა, რომელიც შემდეგ მანავს შეუერთდა, ხოლო მომდევნო წლებში თარაქელები მთლად გადაასახლეს. თარაქი დღესაც ნასოფლარს წარმოადგენს. მაინც ამაყად დგას, გულს არ იტეხს. ისევ ცრემლიანი თვალებით გზას გაჰყურებს, იმ ამაყ ბიჭებს მოელის და მათ შორის გაბრიელ წიკლაურს, მიშა გოგოლაურს, რომლებმაც შარვლის სალტეში სალამურები ჩაიმაგრეს და სამშობლოს დასაცავად წავიდნენ. თავიანთი სოფლის ხალხს კი ასე დაემშვიდობნენ:

ნუ დარდობ ჩემო სოფელო,
გულატირებულს ნუ გხედავთ,
ყველა ომშია წასული,
ვისი იმედიც შენ გქონდა.
თუ დააღწიეს მტერს თავი,
მალე ცრემლს შეგიმშრალებენ,
ნასოფლარს ბაღად აქცევენ,
დანგრეულს ააშენებენ.
ისევ დადგება ის ჟამი,
სალამურს ააკვნესებენ,
იქით ფანდური ჩამოჰკრავს,
აქეთ დოლი და გარმონი.
ისე არ ამოწყდებიან
კუნთმაგარი მთიელი ბიჭები
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი

*ელიკო წიკლაური-ბორაშვილი,*
***სოფელი მანავი***

---

## საქველმოქმედო შემოქმედებითი საღამო მოსწავლე-ახალგაზრდობის ძალებით

**29 მაისს** საგარეჯოს კულტურის სახლმა მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე-ახალგაზრდობის მორიგ ღონისძიებას უმასპინძლა. საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის (უფროსი მანანა ცუცქირიძე) ინიციატივით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 4 ავადმყოფი მოსწავლის დასახმარებლად მათი ძალებით ჩატარდა საქველმოქმედო-შემოქმედებითი საღამო. საღამოს ფარგლებში კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო შემოქმედ მოსწავლეთა ნახატებისა და სხვადასხვა ნამუშევრების გამოფენა, ხოლო სცენაზე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული ქორეოგრაფიული, სამეჯლისო და თანამედროვე ცეკვები, სხვადასხვა მუსიკალური ნომრები, წაიკითხეს ლექსები. შემოქმედებით საქველმოქმედო ღონისძიებაში ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეები. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტში არსებული დაწესებულებებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

შემოქმედებითი საქველმოქმედო ღონისძიებიდან მიღებული თანხა – 1400 ლარამდე მთლიანად გადაირიცხება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსწავლეთა დასახმარებლად.

*გ. დაბახიშვილი*

# კოლეჯი „ილია“ – 15 წლისაა



**პროფესიული** განათლება დღესდღეობით რომ ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში პრიორიტეტულია, უკვე ეჭვს აღარ ბადებს. პროფესიონალები წარმატებით საქმდებიან ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, რამეთუ პროფესიული განათლების მუშაკთა დასაქმების სფერო ბევრად უფრო ფართოა უმაღლეს განათლებასთან შედარებით.

საგარეჯოში უკვე 15 წელია ფუნქციონირებს ავტორიზებული, სახელმწიფოს მიერ აღიარებული კოლეჯი „ილია“.

ამ კოლეჯის და ზოგადად პროფესიული განათლების პრობლემების შესახებ ინტერვიუ ვთხოვეთ „ილიას“ ***კოლეჯის ერთ–ერთ დამფუძნებელს და ამავდროულად ხარისხის მართვის მენეჯერს ქალბატონ თამარ აბულაშვილს.***

***– საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებას – „ილიას“ კოლეჯს წელს არსებობის 15 წელი შეუსრულდა. გთხოვთ მოკლედ გვესაუბროთ განვლილი და თქვენი მომავალი გეგმების შესახებ.***

– სასწავლებელი ამ თარიღს ღირსეულად ხვდება. მან წარმატებით გაართვა თავი ყველა გამოწვევას, ოთხჯერ გაიარა განათლების სამინისტროს ხარისხის განვითარების ცენტრის ავტორიზაცია, მიიღო სახელმწიფო სტატუსი და სახელმწიფო დიპლომის გაცემის უფლება. სასწავლებელმა უკანასკნელი ავტორიზაცია 8 თვის წინ გაიარა. ეს იმას ნიშნავს, რომ 5 წლის განმავლობაში 2020წლამდე სასწავლებელი გააგრძელებს მუშაობას ჩვეულებრივ რეჟიმში, გამოუშებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებიც მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომებს. დამატებით თვით კოლეჯი უზრუნველყოფს მათ კომპიუტერის სერთიფიკატითაც, რათა ხელი არ შეეშალოთ დასაქმებაში, რადგან კოლეჯის ძირითდი მიზანი მათი 100%–იანი დასაქმებაა.

სასწავლებელმა, ისევე როგორც ადრე, წელსაც იზრუნა კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე მოახდინეს კეთილისმყოფელი გავლენა, რამაც მათმა დასაქმებამ დადებითად იმოქმედა დამსაქმებლებზე. ბევრი სტუდენტი სტაჟირებაზე დარჩა, გადის სპეციალიზირებულ კურსს და ელოდება სამსახურს.

გასული წლის კურსდამთავრებული 3 ექთნის თანაშემწე უკვე წარამატებული თანამშრომელია „ჯეოჰოსპიტალსის“ კლინიკაში, ამჟამად 13 კურსდამთავრებული წარმატებით გადის პრაქტიკას ამავე კლინიკაში და ბევრ მათგანს სამსახურს ახლავე სთავზობენ, ბუღალტრის სპეციალობის კურსდამთავრებულთაგან 2 წარმატებული სტუდენტი შპს „გიოლდ სერვის ჯგუფში“ დასაქმდა პროფესიით, ბუღალტრად.

ბუღალტერიის სპეციალობის ოთხი კურსდამთავრებული საგარეჯოს ბანკების ფილიალებში სტაჟირებას გადიან. ისინი მათი პოტენციური თანამშრომლები არიან.

„ჯეოსპიტალსის“ – ოფისში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბანკებში პრაქტიკას გადიან ოფისის მენეჯერის სპეციალისტები. მათ შორის 4 კურსდამთავრებული უკვე სტაჟირებას გადის და სამუშაოდ ემზადება.

ჩვენ წვდომა გვაქვს ძველ კურსდამთავრებულებთანაც. ვიცით მათი დასაქმებისა და წარმატების ამბებიც. კოლეჯის პირველმა მერცხლებმა 2000 წელს, 9 კლასის ბაზაზე შემოსულმა სტუდენტებმა ია გიქორაშვილმა და ნინო მოსიაშვილმა დაასრულეს რა კოლეჯის დაწყებითი განათლების უცხო ენის მასწავლებლის კურსი, აიღეს დიპლომიც და ატესტატიც და იმავე წელს ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებელში, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ენის განხრით, რომელიც წარმატებით დაამთავრეს.

ამჟამად ისინი ფლობენ რა სრულყოფილად უცხო ენას, წარამტებით მუშაობენ მიღებული პროფესიით და დამსახურებულად ამაყობენ ჩვენი კოლეჯით, სადაც მათ ფაქტიურად ფეხი აიდგეს და პროფესიონალებად იქცნენ.

ძნელია ყველას ჩამოთვლა, გამიჭირდება ყველა მათგანის მოგონებაც. ერთი კი შეიძლება თამამად განვაცხადო, რომ ყველა მათგანი კარგ ადამიანებად აღვზარდეთ და საზოგადოებისათვის სასარგებლონი არიან. მინდა ამისათვის მადლობა ვუთხრა ყველა ჩემს თანამშრომელს, რომლებიც ჩემს გვერდით იდგნენ ქვეყნის გაუგონარი კრიზისის დროსაც კი, არ უღალატიათ იმ დიდი მამულიშვილური საქმისათვის, რასაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია. ისინი ახლაც ღირსეულად აგრძელებენ თავიანთ მისიას.

კოლეჯის მესვეურებს დიდი მოვალეობები გვაკისრია. გასულ წელს გაფორმდა მემორანდუმი კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და გავხდით ასოცირებული წევრები. ამან საშუალება მოგვცა მემორანდუმი გაგვეფორმებინა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, რომლის მიზანსაც ჩვენი კურსდამთავრებულთა დასაქმება წარმოადგენს. მალე ჩვენი კოლეჯი მიიღებს ვაკანსიებს და ყველა წარმატებული კურსდამთავრებული დიპლომთან ერთად სამსახურსაც მიიღებს. ეს იქნება ჩვენი კოლეჯის დიდი გამარჯვება, თუმცა არც ახლა ვიშურებთ ძალას წარმატებული სტუდენტების დასაქმებისათვის.

***– რა სიახლეებს ელოდებით პროფესიულ განათლებაში ზოგადად და რამდენად იმედიანად უყურებთ მომავალს?***

– პროფესიული განათლება ამჟამად დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ოთხი წლის წინ ჩვენი ქვეყანა შეუერთდა ბოლონიის პროცესის 48 ქვეყანას და სწავლებაში დაინერგა კრედიტული სისტემა.

ახლა სამინისტრომ მიიღო გრანტი – რამდენიმე მილიონი, რომლის საშუალებითაც კრედიტები დალაგდება მოდულების მიხედვით. ისე, რომ ახლა დავიწყებთ მოდულურ პროგრამებზე გადასვლას, რაც უფრო მეტად სრულყოფს პროფესიულ განათლებას და მიღებულ შედეგებს.

სიახლეა ისიც, რომ კოლეჯებში მომდევნო წლიდან შემოდის საშუალო განათლების კომპონენტიც, რაც საშუალებას მოგვცემს დიპლომთან ერთად გავცეთ საშუალო განათლების ატესტატიც. ეს 9 კლასდამთავრებულთათვის დიდი საჩუქარი იქნება. ისინი ერთდროულად „ორ კურდღელს“ დაიჭერენ, გზა გაეხსნებათ ორი მიმართულებით, უნდათ გააგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებელში და უნდათ დასაქმდებიან პროფესიით.

გარდა ამისა, უქმდება „პროფესიული კოლეჯი“–ის ცნება, რომელიც მხოლოდ I, II და III საფეხურის პროფესიულ პროგრამებს განახორციელებდა და გაუქმდება ცნება „საზოგადოებრივი კოლეჯიც“, – რომელიც IV და V საფეხურის პროფესიულ პროგრამებს განახორციელებდა, ახლა იქნება მხოლოდ „კოლეჯის“ სტატუსი – რომელიც ყველა საფეხურის პროფესიულ სპეციალისტს გამოუშვებს. განვახორციელებთ რა IV და V საფეხურის პროგრამებს, მომდევნო წლიდან გავცემთ უმაღლეს პროფესიულ დიპლომსაც.

***– თუ შეიძლება საზოგადოებას მიაწოდეთ ინფორმაცია ავტორიზაციის ცნების შესახებ, თქვენ ის უკვე 4–ჯერ გაიარეთ.***

– განათლების სისტემაში უკვე 43 წელია ვმუშაობ. უკვე ბევრს მოვესწარი, როდესაც 2000წელს კოლეჯი გავხსენით, მაშინ ავიღეთ „ლიცენზია“. უკვე რამდენიმე წელია სიტყვა „ლიცენზია“ შეცვალა ავტორიზაციამ.

ავტორიზაცია ენიჭება სასწავლებელს, რომელიც აკამყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებს, რის შემდეგაც სახელმწიფო სასწავლებელს აძლევს უფლებას გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. აღიარება კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოვალეა იზრუნოს – პროფესიის მიხედვით დაასაქმოს თავისი გაცემული დიპლომი. ზოგადად სახელმწიფო დიპლომის გარეშე არ არსებობს პროფესიული დასაქმება.

ამის შესახებ სრული ინფორმაცია არა აქვს საზოგადოებას. მშობელი ვერ არჩევს სასწავლებელს ავტორიზებულს და არაფორმალურს.

არაფორმალური განათლების შესახებ კანონი გულისხმობს შემდეგს: რომელიმე სპეციალისტი აიყვანს შეგირდს, ასწავლის თავის ხელობას და მისცემს მოწმობას (რაც ყველას შეუძლია), რომ მან ეს საქმე შეისწავლა, მაგრამ ის ვერ მიანიჭებს შეგირდს რაიმე კვალიფიკაციას, რადგან ეს სისხლის სამართლის დანაშუალია, დასჯადია. ზოგიერთი სარგებლობს რა არაფორმალური განათლების კანონით, რომელშიც უამრავი ხარვეზია, ხსნიან ე.წ. სასწავლო ცენტრებს, წიგნის სახლებს და ა.შ. ასეთ სასწავლებლებს არაფერი აქვთ საერთო სახელმწიფო სტანდარტთან, ისინი მხოლოდ სარგებლობენ სახელმწიფოში არსებული დროებითი მოდუნებით და რბილად რომ ვთქვათ ატყუებენ ხალხს. კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ახლა დამუშავების პროცესშია და ალბათ ამასაც ეშველება.

მშობელი ყურადღებით უნდა იყოს და სასწავლებელს პირველ რიგში უნდა მოსთხოვოს ავტორიზაციის დოკუმენტი და მხოლოდ შემდეგ ენდოს სასწავლებელს.

***– ქალბატონო თამარ, რას ეტყვით თქვენს მომავალ სტუდენტებს, ახლანდელ აბიტურიენტებს.***

– კოლეჯი „ილია“ 15 წელია ვითარდება, ეს პროცესი დაუსრულებელია. ვცდილობთ ყოველ წელს ახალი სიურპრიზები გავუკეთოთ ჩვენს სტუდენტებს. ხდება ინვენტარის განახლება, სასწავლო პირობების სრულყოფა, მასწავლებელთა გადამზადება ახალი მოდულური პროგრამებისათვის, გაკეთდა ცენტრალური გათბობა, წელს სასწავლო ფართს მიემატება ახალი აუდიტორიები, რაც საშუალებას მოგვცემს მომდევნო წელს მივიღოთ პრაქტიკოსი ექთნის, მეღვინის, ფარმაცევტის, ბებიაქალის და სხვა. IV და V საფეხურის სპეციალობის აბიტურიენტები და გავცეთ უმაღლესი პროფესიული დიპლომი. წელს კი მიღება გვექნება ბუღალტრის, ოფისის მენეჯერის, ექთნის თანაშემწის და კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის ავტორიზებულ სპეციალობებზე.

აგრეთვე შეგვიძლია მოვამზადოთ ან გადავამზადოთ ნებისმიერი სპეციალობის პროფესიონალები, შევასწავლოთ მათ მათთვის საინტერესო საქმე ახალი ხედვით, კომპიუტერული მომზადებით, ორისის პროგრამით და ა.შ. და გავცეთ მათზე ჩვენი ბეჭდით და კოლეჯის გერბით დამოწმებული სერთიფიკატი.

კოლეჯი მზად არის მხარში დაუდგეს ყველას, ვისაც რაიმე ცოდნის შევსება ან ახალი ცოდნის შეძენა სურს. ამისათვის კოლეჯში სპეციალურად მუშაობს პროგრამისტთა ჯგუფი. ამ ჯგუფის სტუდენტები იღებენ ჩვენი კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებულ სერთიფიკატებს. ასეთი სპეციალობებია: საბაჟო საქმე, ბანკის ოპერატორი, ბაგა–ბაღის აღმზრდელი, ფარმაცევტის თანაშემწე, პრაქტიკოსი ექთანი და სხვა სასურველი სპეციალობები.

ყოველივე ამის შემდეგ მე მგონი ეჭვს არ გამოიწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი კოლეჯი მეტისმეტად სანდო, საჭირო და აუცილებელია მათთვის, ვისაც სურს ჭეშმარიტი ცოდნის შეძენა და დასაქმება, მათ ხომ წარმატებული ცხოვრება სურთ, ჩვენ ამისათვის მზად ვართ.

ისე, რომ „ილიას“ კოლეჯი სასწავლებლად იწვევს ყველა წლევანდელ კურსდამთავრებულს, აგრეთვე წინა წლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს, მათ, ვისაც აქვს 9 წლიანი ან 12 წლიანი განათლება, კოლეჯში სწავლისათვის ასაკი შეუზღუდავია.

კოლეჯი გთავაზობთ სწავლის საფასურის 2–ჯერ ნაკლებ ოდენობას თბილისის კოლეჯებთან შედარებით, გადახდის ხელმისაწვდომ მექანიზმს, დასაქმების 90%–იან დონეს, ინდივიდუალურ სასწავლო გრაფიკს მათთვის, ვინც მუშაობს ან სწავლობს. და სხვა უამრავ სიკეთეს, თბილ სასწავლო გარემოს საუკეთესო კეთილგანწყობასთან ერთად.

მოკლედ, ახალი სასწავლო წლისათვის „ილიას“ კოლეჯი გეპატიჟებათ მეგობრებო, გისურვებთ წარმატებებს!


## გიწვევთ სასწავლებლად!



**ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განახლდა აბიტურიენტთა მიღება 2015-2016 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

***1. ბუღალტერია***
***2. ოფისის მენეჯერი***
***3. ექთნის თანაშემწე***
***4.კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი***

კოლეჯი გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიულ დიპლომს.

სასწავლებელში მუშაობს კომპიუტერული კურსები (საოფისე პროგრამები), რომელიც შედის სწავლის საფასურში. გაიცემა კომპიუტერის სერთიფიკატი.

სწავლა შესაძლებელია წარმოებიდან მოუწყვეტლადაც, ამისათვის მუშაობს მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი.

კოლეჯში მუშაობს სხვადასხვა მიმართულების განმავითარებელი პროგრამა, რომელზედაც სასწავლებელი გასცემს სერთიფიკატს.

**როგორებიცაა:**

***1. ბაგა–ბაღის აღმზრდელი***
***2. ბანკის ოპერატორი***
***3. ფარმაცევტის თანაშემწე***
***4. პრაქტიკოსი ექთანი***
***5. უცხო ენის პრაქტიკული გამოყენების კურსი***
***6. ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული კურსი Oris –ის პროგრამა***
***7. აბიტურიენტთა მომზადების კურსი (შეთანხმებული ფასებით).***
***8. სხვა სასურველი სასწავლო კურსი მსმენელისათვის საჭირო პროგრამის მიხედვით.***

ყველა აბიტურიენტისათვის და ნებისმიერი მსურველისათვის შესაძლებელია სასურველი სასერთიფიკატო პროგრამის შესწავლა და შესაბამისი სერთიფიკატის აღება. ამისათვის კოლეჯში მუდმივად მუშაობს სპეციალისტ–პროგრამისტთა ჯგუფი.

საგარეჯოს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის მიერ გაცემული ორი ლეგიტიმური დოკუმენტი – სახელმწიფო პროფესიული დიპლომი და კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი – ორი პროფესიული სპეციალობის აღიარების დამადასტურებელია.

სასწავლებელში სწავლის მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

***1. განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე.***
***2. საბაზო ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.***
***3. პირადობის მოწმობის ასლი.***
***4. ორი ფოტოსურათი 3X4***

საბუთების მიღება მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ–გვერდი: www.iliaedu.ge
E-mail: iliasagarejo@gmail.com
T 995(351) 24-24-36; 555 513-228; 598 65-08-49
***მისამართი: ქ. საგარეჯო ლეონიძის ქ.33ა***



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru